

ბოლშევიკი

პირველ მაისს დაღუპულთა დაკრძალვა ბერლინში

19 ივლისი

რემედასის

საქ. ცენტრალური და ტფ. კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

29 ტფილისი

კაპიტალისტურ ქვეყნებში

იტალია

ტერაჩინის სიცოცხლე საფრთხეშია.

იტალიის კომპარტიის ცეკას პროცესთან დაკავშირებით, სასამართლომ 25 წლის ვადით კატორღა მიუსაჯა იტალიელ ცნობილ რევოლიუციონერს — უმბერტო ტერაჩინს. ის ახლო წარსული კუნძულ სანტო სტეფანოდან გადაიყვანეს ფლორენციის ერთ-ერთ საპატიმროში. ის პირნი, რომლებსაც საშუალება ჰქონდათ ენახათ ის უკანასკნელ ხანებში გადმოგვცემენ, რომ ტერაჩინი საგრძნობლად გამოუცვლია საკატორღო, აუტანელ წესებს.

მძიმე ბორკილებით, საშინლად გამხდარი და ქანცმილეული ის დიდი მანძილით უკან რჩება თავის ამხანაგ პატიმრებისაგან, რომლებთან ერთად მოჰყავდათ ისიც. ცხენოსანს გამცილებლები გზაზე არჩერებდენ პატიმართა ჯგუფს ვიდრე ტკივილებით გამწარებული ავადმყოფი ტერაჩინი არ დაეწეოდა მათ.

იტალიელ კომუნისტებში ტერაჩინი ყველაზე უფრო საშინლად დატანჯეს და აწამეს, მან ყველაზე უფრო მეტად გადაიტანა იტალიის ფაშიზმის სუსხი. იტალიაში ფაშისტური რეჟიმის დამკვიდრების დღიდან ტერაჩინს განუწყვეტლივ აპატიმრებენ, პატიმრობიდან ის ძალიან მცირე ხნით თუ ინთავისუფლებდა თავს მხოლოდ. სანტო სტეფანოს საპატიმროში მან საბოლოოდ დაჰკარგა ჯანმრთელობა, ის ეხლა დაავადებულია ჭლექის უკანასკნელი სტადიით,და დღე-დღეზე სიკვდილის მოელის.

სანტო სტეფანოს საპატიმროში ჭლექით გარდაიცვალა დ. ბატინო, მ. ტორკვანდო, ა. ჯინო და სტეფანე მირონჩელი. საპატიმრო სანტო სტეფანოდან საპრყობილე პიანოზეში გადაყვანილი მუშა-მქსოველი გვიდო სოლა უნუგეშო მდგომარეობაშია, ამ უკანასკნელს სასამართლომ მიუსაჯა კატორღაა 24 წ. ვადით.

— „შეჩერდი, აქ ისვრიან", — ასეთი წარწერა გამოკიდა პოლიციამ ვედინგეში (მუშათა უბანია ბერლინში) პირველ მაისის დღეებში.

92 წ. კატორღა

მაისის 16 — 17 რომის განსაკუთრებულმა ტრიბუნალმა მოისმინა სლოვენიელი კომუნისტების საქმე რომლებსაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფოს მშვიდობიანობაზე თავდასხმის განზრახვისათვის. ბრალდებულებს მიესაჯათ 4 — 5 წ. 4 თვე საპყრობილე თითეულს. სლოვენიელი კომუნისტების გასამართლების პროცესზე გამოტანილი სასჯელი საერთო ჯამით უდრის 92 წ. კატორღას.

რუმინეთი

ამხ. პაუკერი სიმშილობს

მაისის 3 რუმინელმა ჯალათებმა შეიპყრეს მარცელი პაუკერი. ეს უკანასკნელი რუმინეთის კომპარტიის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწეა. როგორც რუმინეთის კომპარტიის ცეკას წევრს მას არა ერთხელ უგემნია რუმინეთის სხვადასხვა ციხეებში ხანგრძლივად პატიმრობის სიტკბოება. 1925 წ. მას სასამართლომ მიუსაჯა 10 წ. კატორღა. ხოლო 1929 აპრილს კი მიესაჯა საუკუნო დაპატიმრება იმავე საკატორღო საპყრობილეში, სადაც ის დღემდის იჯდა.

3. მაისს პაუკერმა სიმშილობა გამოაცხადა. მიუხედავად სიმშილობის გამოცხადებისა პაუკერი ძველებურ მდგომარეობაში დასტოვეს.

პატიმრობის დროს ადმინისტრაცია სხვადასხვა ხრიკებით შეეცადა იძულებული გაეხადა პაუკერი, რათა მას მიელო საჭმელი, თუ ამას არ აასრულებდა დაემუქრენ ახალ ბრალდებათა წაყენებით კომუნისტური იდეის პროპაგანდის ნიადაგზე.

ძირს ახალი ომის პროვოკატორები, ჩინელი მილიტარისტები— მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტები.

გაუმარჯოს ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ კავშირს.

363(∾)(05)
ს43.

წელიწადი მეექვსე

№ 7
ივლისი
∞ 1929 ∞

რემედია

რემედიის საქართველოს ცენტრალური და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

ბრძოლაში ფული ძალაა, შეუერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∾ ტელ. 17-42. ∾

საერთაშორისო წითელი დღე

საერთაშორისო წითელი დღე დაკავშირებულია იმპერიალისტური ომის 15 წლის თავის შესრულებასთან. ეს დღე მიზნად ისახავს მთელი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასების ყურადღების მობილიზაციას ახალი იმპერიალისტური ომის საშიშროებისა და კაპიტალისტური ქვეყნების საბჭოთა კავშირზე შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

„საერთაშორისო წითელი დღე“ — 1 აგვისტო უნდა გახდეს მომავალი იმპერიალისტური ომის — სამოქალაქო ომად გადაქცევის მომენტად. ამიტომაც არის, რომ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია გაფაციცებით ამზადებს თავის რეაქციონურ ძალებს და რაზმავს მათ რევოლიუციონური პროლეტარიატის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ფაშიზმის, რეაქციისა და თეთრი ტერორის გაძლიერება მოასწავებს იმპერიალისტურ ომისათვის სამზადისს. მთელი ქვეყნის რევოლიუციონური პროლეტარიატი ემზადება ამ დღისათვის, რათა მედგარი იერიში მიიტანოს იმპერიალისტებზე. კაპიტალიზმის რეაქციონური პოლიტიკა, სცდილობს ჩაახშოს რევოლიუციონურ პროლეტარიატის რიგებში კაპიტალის საწინააღმდეგოდ მთლიანი ფრონტით მიმართული ბრძოლის შეგნება. კაპიტალი ასეთი მეთოდების საშუალებით ცდილობს მოიგოს დრო და შეინარჩუნოს თავისი უკვე დრომოჭმული ხელისუფლება.

ამ დიად ანტი იმპერიალისტური დღის ჩატარებასთან დაკავშირებით ჩვენ რემედასელებმა უნდა მოვიგონოთ ასეული ათასი მებრძოლი გმირები, რომლებიც დღეს იტანჯებიან ბურჟუაზიული ქვეყნების საპატიმროებში. ჩვენ არც ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლ გმირების უპატრონოდ დარჩენილ ოჯახის წევრები და მზად უნდა ვიყოთ, რათა ყოველგვარი დახმარება გაუწიოთ კაპიტალის ტყვეებს, გავამხნევოთ ისინი კაპიტალთან მომავალი ბრძოლისათვის.

საერთაშორისო ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასის აქტიური მოძრაობა მას სამუდამო განადგურებით ემუქრება. ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ მუშათა კლასის გამარჯვებით სამუდამოთ დასამარებული იქნება კაპიტალის ბატონობა მთელს მსოფლიოში. ბურჟუაზია, მისი ერთგული დამცველი, თეთრი ტერორი, ფაშიზმი, კლასობრივი იუსტიცია, პოლიცია, ჟანდარმერია, ეი ვინ ებრძვის საერთაშორისო პროლეტარიატს გამანთავისუფლებელ მოძრაობას.

დღეს მთელი ქვენის შაფისტური ბანდები თავს ესხმიან რევოლიუციონურ მუშათა რიგებს, დღეს მთელი ქვეყნის ჯალათები ერთსულოვნად მოქმედებენ რევოლიუციონურ მუშათა კლასის წინააღმდეგ და ცდილობენ რაც შეიძლება ჩქარა ალაგმონ მუშათა გამანთავისუფლებელი მოძრაობა.

ამ მიზნის მისაღწევად ისინი დღე და ღამე გაფაციცებით ამზადებენ საომარ ძალას, ადგენენ ახალ გემებს. კოლონიებში და პატარა სახელმწიფოებში მუშათა კლასის საუკეთესო მებრძოლ მილიონებს ანადგურებს ბურჟუაზია თავისი მოსყიდული ჯარებით. ამ ბრძოლაში ბურჟუაზია სისხლით იღებავს ხელს და ავსებს ციხე-კატორღებს მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებით. მიუხედავად იმ საშინელი მხეცობისა, რომელსაც ბურჟუაზია მიმართავს თავის ქვეყნის რევოლიუციონურ პროლეტარიატის გასანადგურებლად, ამ სისხლიან ჯალათებს მაინც არ შეუძლიანთ ჩააქრონ მუშათა მებრძოლ მასებში უკვე ჩამოყალიბებული გამანთავისუფლებელი ბრძოლის იდეები.

დღითი-დღე ვრცელდება და მტკიცდება კომუნისტური პარტიის პოპულიარობა მთელი ქვეყნის მშრომელთა და დაჩაგრულთა მასებში. კომუნისტურ მოძრაობის ზრდა და განვითარებასთან ერთად იზრდება და მტკიცდება პროლეტარიატის რიგებში ინტერნაციონალური ერთსულოვნება.

1-ლი აგვისტოს კამპანია უფრო შეამჭიდროებს საერთაშორისო რევოლიუციონურ პროლეტარიატს, თეთრი ტერორის ტალღები და შავი რეაქცია უფრო მკაცრად აშკარავდება უკანასკნელ ხანებში, ეს გარემოებაა იმისნება იმით, რომ უკვე ახლოვდება საერთაშორისო წითელი დღე — 1-ლ აგვისტო.

1-ლ აგვისტოს რემედასელები ვალდებულნი არიან საერთაშორისო ფაშიზმის აღვირახსნილობას უპასუხონ კაპიტალის პატიმრებისადმი მორალური და მატერიალური დახმარების გაორკეცებით, ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობს გაღრმავებით. საბჭოთა კავშირის ეკონომიური დონის და საზღვრების გამაგრებით.

გაუმარჯოს კომინტერნს — საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ძლევამოსილ შტაბს!

გაუმარჯოს ლენინურ კომპარტიას, რომელიც შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს: საერთაშორისო ფაშიზმის, თეთრი ტერორის და კლასობრივ იუსტიციის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნებას მომავალ კლასობრივ ბრძოლაში.

ყველა ქვეყნის მშრომელთ

ფაშიზმის ახალი ტალღები თანდათან იპყრობს ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებს. იტალია, უნგრეთი, სამხრეთ-სლავია, პოლონეთი და ლიტვა დღეს წარმოადგენენ ფაშიზმის საშინელ და მოუთმენელ ოლქს, სადაც განუწყვეტლივ მძვინვარებს თეთრი ტეროორი და კლასობრივი იუსტიცია. ამ ქვეყნების რევოლიუციონური მუშათა და გლეხთა მასები ჭერ-ქვეშ არიან მოქცეულნი. მშრომელი ელემენტები მოკლებულნი არიან ყოველგვარ მოქალაქეობრივ უფლებებსა და რევოლიუციონერები კანონს გარეშე არიან გამოცხადებულნი. საშინელი განაჩენები, დევნა-წამება და განადგურება — აი, რაა' გამეფებული ყველა ამ ქვეყნებში. ფაშისტები სრულიად მოულოდნელად და ცინიკურად მთელი კულტურული კაცობრიობის თვალწინ ფიზიკურად ანადგურებენ რევოლიუციონერებს. საკატორღო საპყრობილეები სავსეა მოწინააღმდეგეებით, სადაც ისინი განიცდიან საშინელ შევიწროებას, დამცირებას და ცემა-წამებას.

კოლონიალურ, თუ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში კიდევ უფრო მწვავედ სდევნის თეთრი ტეროორი ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც იბრძვის თავისუფლების მოსაპოებლად. ადგილობრივ მკვიდრთა დამონავება-დაბეჩავებას ისე ჩქარი ტემპით აწარმოებენ იმპერიალისტები, რომ მათ ოლქებს ემუქრება სრული ფიზიკური განადგურება. ინდოეთში იმპერიალისტურ ინგლისის რკინის ქუსლით ყოველწლიურად ითელება მილიონი მშრომელი. თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ინგლისის იმპერიალიზმი ხელს უწყობს ინდოელებსა და მუსულმანებს შორის სარწმუნოებრივ უთანხმოების გაღვივებას. ჩინეთის მილიონიან მშრომელებზე ისევ მეფობს და იქ მთელი თავისი საშინელებით კვლავ მძინვარებს იმპერიალიზმი და ჯალათი ჩან-კაი-შის სისხლანი დქტატურა. ჩინეთში რევოლიუციონერთა მასიური მკვლელობა-განადგურებამ ხშირი ხასიათი მიიღო.

თვით ე. წ. დემოკრატიულ ქვეყნებშიაც ფაშიზმი დღეს უკვე გადადის ახალ შეტევებზე. ის დღითი-დღე თვალსაჩინო და მოუთმენელი ხდება. დემოკრატები დემოკრატიზმის ნიღაბს ქვეშ ფაშიზმის როლს პირნათლად ასრულებს. ეს არის სოციალ-ფაშიზმი, რომელიც თავის ბნელ საქმეებს აწარმოებენ ყველა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ სახელმწიფოებში. აქ ბრძოლის მეთოდი უფრო მწვავე და გამახვილებულია. ქუჩებში გამოსვლის, გაფიცვების და კავშირების უფლებას ართმევენ მუშათა კლასს, რათა გამოიწვიონ მათ შორის მღელვარება. მუშათა კლასისა და გლეხობისათვის უფლების წართმევა, კლასობრივი იუსტიციის სიმკაცრე, მასიური დაპატიმრებანი და ფართე მასშტაბით პოლიციელთა ვერაგული მოღვაწეობა — აი, ის ღონისძიებანი, რომლითაც სარგებლობს სოციალ-ფაშიზმი იმ დრომდე, ვიდრე ის ვერ მოახერხებს მუშათა რევოლუციონურ მასების საბოლოოდ განადგურებას. მაგრამ როცა მუშათა კლასის რევოლიუციონური მასები მოექცევიან ჭერ-ქვეშ, მაშინ ამ სოციალ-ფაშისტებმა უნდა ჩამოიხსნან „დემოკრატიული" ნიღაბი და საქვეყნოდ უნდა გამოაშკარავონ თავიანთი ბნელი ზრახვები.

რისთვის ესაჭიროებათ ყველაფერი ეს? — ეს აუცილებელია, იმისათვის, რომ მუშათა კლასი და გლეხობა ჩააბან ისევ ახალი ომის ფერხულში;

იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის დიდი ქიშპობაა დღეს ახალი ბაზრების დასაპყრობათ, ნედლეულის მისა-



პირველ მაისს შეტაკებაში დაღუპულთა საძმო საფლავზე სიტყვას ამბობს წითელ ფრონტელთა კავშირის თავმჯდომარე და გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრი ამხ. **ერსტ ტელმან.**

ღებათ, ექსპლოატაციის განსავითარებლათ და მშრომელ მასების დასამონავებლად.

უკანასკნელი მსოფლიო იმპერიალისტური ომისაგან მიყენებული მწარე ჭრილობებისაგან ჯერ კიდევ არ განკურნებულა კაცობრიობა, მის მიერ დანგრეული მეურნეობა-მრეწველობა ჯერ კიდევ არ აღუდგენია მუშათა კლასს, მიუხედავად ამისა გაუმაძღარი კაპიტალისტები ისევ ახალ საერთაშორისო ომის გაჩაღებას ლამობდენ, რათა ამ უდანაშაულო ხალხის სისხლის ღვრით უფრო მოითბონ ხელი. ამერიკა იარაღს ისხამს ინგლისის წინააღმდეგ. ინგლისი კი პირიქით, საფრანგეთი, ემუქრება ინგლისსა და გერმანიას, იტალია საფრანგეთს. ეკვრებიან ერთიმეორეს ხელშეკრულებებით, მეორე დღეს კი ისევ ახალ პირობებს სდებენ, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ამ პირველს. იქმნება ძლიერ სახელმწიფოთა დაჯგუფებანი, რათა ისევ ჩქარა დაარღვიონ და ერთიმეორის მოწინააღმდეგე პოზიციები დაიკავონ. ეს ძლიერი სახელმწიფოები ხელს აწერენ ათასგვარ სამხედრო ხელშეკრულებებზე, მიუხედავად ამისა ომიანობის დროს ერთიმეორის წინააღმდეგ იშიშვლებენ ხმალს. ამრიგად ყველაფერი ეს უდღეურია, არა მყარი, მერყევი და ტყუილუბრალოთ იხარჯება ენერგია. სიმართლე მხოლოდ ის არის, რომ ომი აუცილებელია.

რაც უნდა გრანდიოზული ხასიათი არ ჰქონდეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანხმოებას, — ისინი მაინც ერთი მიზნით არიან გამსჭვალულნი, ეს არის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა. სინი ცალცალკე და ყველა ერთად ლამობენ მსოფლიოში ამ პირველ მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის უდიდესი კავშირის განადგურებას, რათა გზა გაუკაფონ საშინელ ექსპლოატაციას და მონობის უღელი დაადვან ოქტომბრის დიდი რევოლიუციის მიერ განთავისუფლებულ მუშათა კლასსა და გლეხობას.

მაგრამ ახალი ომისათვის საჭიროა პროლეტარიატის სრული მორჩილება. ეს მოუხერხებელი ხდება მათთვის ვინაიდან მთელი ქვეყნის მუშათა კლასს და გლეხობას აკავშირებს ერთი იდეა — ეს კი არის შრომის განთავისუფლება კაპიტალის ბრჭყალებისაგან. პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავება მთელ რიგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. ფაშიზმის ახალი შემოტევები, სოციალ-ფაშიზმისა და „დემოკრატიულ" ქვეყნების მმართველთა გააფთრებული ბრძოლის წარმოება მუშათა კლასის ფართე მასების დასაპყრობათ, არის ახალი საერთაშორისო ომისათვის დაწყებული სამზადისი. ამიტომ იბრძვის მთელი ქვეყნის ბურჟუაზიული დემოკრატია, მისი ერთგული მოკავშირე თეთრი ტეროორი, კლასობრივი იუსტიცია და ამ მიზნით არის გამოწვეული სისხლიანი ტეროორი. ამავე მიზნით მოხდა ჯალათი ცერგიბელისა და ყველა ანტისაბჭოთა ელემენტების თარეში ბერლინის ქუჩებში, რომელმაც აურაცხელი მსხვერპლი შეიწირა მიმდინარე წლის პირველ მაისის დღესასწაულის დღეს.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩება რემედასი. რემედასმა, როგორც უპარტიო ორგანიზაციამ, რომელიც თავგანწირვით იბრძვის კაპიტალის პატიმართა დასახმარებლად თავისი პროტესტის ხმა უნდა შეუერთოს მთელი ქვეყნის მებრძოლ პროლეტარიატის ხმას და პირნათლად უნდა შეასრულოს ის უდიდესი ამოცანები, რომლებსაც მის წინაშე აყენებს ისტორია.

ამიტომ რემედასის აღმასკომი მოუწოდებს ყველა ქვეყნის რემედასის სექციებსა და მოძმე ორგანიზაციებს, მუშებსა და გლეხებს, ყველა ქვეყნის მშრომელთ და რემედასის მეგობრებს მიმდინარე წლის აგვისტოს პირველს ყველა ქვეყნის რევოლიუციონურ მუშურ-გლეხურ ორგანიზაციებთან ერთად ომი გამოუცხადოს იმპერიალისტურ ომს მასიური დემონსტრაცია — მიტინგების მოწყობით.

რემედასის აღმასკომი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მშრომელთა მასებს მასიურად შევიდენ რემედასის ორგანიზაციებში. მხოლოდ მშრომელთა მასიურად დარაზმვას შეუძლია უკუაქციოს მომავალი საერთაშორისო ომის საბედისწერო აჩრდილი.

ომი იმპერიალისტურ ომს!

ძირს ფაშიზმი!

ძირს ბურჟუაზიული ნაძირალები!

ბრძოლა სოციალ-ფაშიზმს!

დავიცვათ საბჭოთა კავშირი იმპერიალისტების თავდასხმისაგან!

გაუმარჯოს მუშათა კლასის და გლეხკაცობის რევოლიუტიონურ ბრძოლას!

გაუმარჯოს მშრომელთა საერთაშორისო ერთსულოვნებას!

ძმური დახმარება იმპერიალისტურ ომის საშიშროებასა და ამ ომის წინააღმდეგ ბრძოლაში დაცემულ მსხვერპლთ!

რემედასის აღმასკომი.

ისინი წყლით საზრდოობენ

(ჩინელი გლეხის წერილი).

მოისმინეთ ამხანაგებო ისტორია სილატაკისა და სიმშილის შესახებ. ჩვენ, რომლებიც ვამუშავებთ უამრავ ჰექტარ მიწებს და ვკვებავთ მილიონ ადამიანებს არასოდეს არა ვართ მაძღრები.

მდიდრები ჩვენ ძალიან მარტივად გვეძახიან: „ისინი წყლით საზრდოობენო". — ეს ალბათ იმიტომ, რომ ჩვენ დღე და ღამე ჭაპანწყვეტით ვმუშაობთ და მარტოოდენ წყლით ვსაზრდოობთ. მრავალი საუკუნეთა განმავ-

ლობაში მემამულეები ღარიბ-ღატაკებს ართმევენ ჭირნახულის დიდ უმრავლესობას. ამრიგად მთელი წლის განმავლობაში გლეხი თითქმის მუქთად მუშაობს, ის თავის შრომისაგან არავითარ ნაყოფს არ ჰხედავს.

მე ვცხოვრობ ცოლშვილით ჩემს მშობლებთან. ჩვენ სულ ხუთნი ვართ. ჩვენ ვამუშავებთ ხუთ ტან ბრინჯისა და სამ ტან ბოსტანს, მოწეული ბრინჯი მთლიანად უნდა შევიტანო შემოდგომაზე ღალის დასაფარავად. რაღა უნდა დამრჩეს?

პირველი მაისი. დაპატიმრებანი ქ. ტოკიოს (იაპონია) ქუჩებში.

მთელი წლის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობთ სამას სამოცდა ხუთი დღის განმავლობაში. ჩვენ მვუშაობთ არა მარტო დღისით, არამედ ღამითაც ვიდრე ვარსკვლავებით არ აენთება ცის კიდური. მიუხედავად ამისა ზამთრის 3 თვის საზრდო არა გვრჩება და მთელი ზამთრის განმავლობაში ვსიმშილობთ. ზამთრის თვეების განმავლობაში ჩვენ ვსტოვებთ სახლ-კარს და ცოლითურთ დავეძებთ სამუშაოს მდინარეებში, მთებში ან ქალაქებში. ჩვენ კვირაში მხოლოდ 3 დღის განმავლობაში თუ ვიმუშავებთ განზე. დანარჩენი დღეები ჩვენ ოჯახს უნდა მოვახმაროთ, რათა ყველაფერი მოვამზადოთ აბრეშუმის ჭიისათვის.

ჩვენს პატარა სახლში არ არის ცეცხლი. ცივი ქარი ჰქრის გამუდმებით. როგორც გარეთ. ჩვენ ვიკვებებით განსაკუთრებით მოხარშული კარტოფილით. ეს დრო ყველაზე უარესია დროა ღარიბი გლეხისთვის. არსებობისათვის ე. ი. რომ სიმშილით არ მოკვდე აუცილებლად საჭიროა 1½ იენი მაინც გააკეთო დღეში. გლეხობის დიდუმრავლესობას არ შეუძლია სამუშაოს მონახვა ზამთარში. ისინი ძლივს ირჩენენ თავს, ცდილობენ თავი გააღწიონ გაზაფხულამდე, ისინი ძალიან ხშირად იძულებულნი არიან მთელი დღის სავალზე სათხოვნელად წავიდენ ნათესავ-მეგობრებთან, რათა გამოართვან ცოტა პურის ფქვილი, მარილი, ან სხვა რამე, რომ სიმშილით არ დაიხოცონ. ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრიც კი უნდა გაიარონ ერთი კოლოფი წუმწუმის საშოვნელად.

ასეთი მდგომარეობით სარგებლობენ კაპიტალისტები და ხელისუფლება და ისინი უკანასკნელ საარსებო საღსარსაც კი აცლიან ხელიდან ისედაც გაძვალტყავებულ გლეხობას.

მთავრობა თავის ერთგულ მოხელეებს აგზავნის სოფლად. ისინი აქეზებენ ახალგაზრდობას, პირდებიან ათასგვარ ბედნიერებას. იწვევენ მეზღვაურებათ: — შენ მიიღებ ტანისამოსს, საჭმელს — სასმელს და მთელი წლის განმავლობაში 50 იენს მშობლებისათვისო" — ეუბნებიან ეს მოხელეები ახალგაზრდებს.

მართალია სამსახურში 5 წელი ძალიან დიდი დროა, მაგრამ სულერთია გაწვევით. სამხედრო სამსახურში 2 წ. მაინც უნდა იმსახუროს უსასყიდლოთ. გემზე კი, თუ 7 წ. იმსახურა ერთდროულად მიიღებ 100 იენს და 50 იენს პენსიის სახით, ყოველ წლიურად.

— გადასწყვიტე ჩქარა, — ეუბნება ახალგაზრდას მოხელე. — ვიდრე არ შევსებულა შტატი.

მშობლები, რომლებსაც არაფერი გააჩნიათ არც სარჩენი და არც ჩასაცვამი, შვილს ურჩევენ წავიდეს გემზე მეზღვაურად.

უნდა აღინიშნოს, რომ გემზე მუშაობა არც თუ ისე ადვილია. ბევრი ვერ იტანს მას. ისინი ბრუნდებიან შინ დაავადებულნი, დანარჩენები კი — დაახლოვებით 1/3 ნაწილი იქვე იხოცება.

არც კაპიტალისტებს სძინავთ. საქსოვ და აბრეშუმის ქსოვილთა ფაბრიკის მეპატრონეებიც გზავნიაან თავიანთ რწმუნებულებს სოფლად. მათი მსხვერპლია განსაკუთრებით ქალები 6 — 14 წლამდე.

აგენტები ამოწმებენ მშრომელებს: „ეს პირდაპირ ბედნიერება იქნება თქვენი ბავშვისათვის, ფაბრიკა საუკეთესო სკოლაა ახალგაზრდა ქალისათვის. თქვენი ქალი ისწავლის არა მარტო წერა-კითხვას, არამედ ის ამავე დროს შეიძენს სასარგებლო ხელობასაც. ხოლო წლის ბოლოს კი ის მოგიტანს თქვენ 100 — 150 იენს".

აგენტები მშობლებს დაპატიჟებენ მახლობელ ქალაქში — სასადილოში, შეაზარხოშებენ იქ. შემდეგ დასდებენ ხელშეკრულებას, წინდაწინ გადაიხდიან 15 — 20 იენს. 2-3 კვირის შემდეგ კი წაიყვანებენ ქალსაც.

ფაბრიკაში 12 — 13 საათის განმავლობაში განუწყვეტელი სამუშაოს ნაყოფს ბავშვები უგზავნიან მშობლებს. 5 — 6 წლის შემდეგ კი ისინი ბრუნდებიან შინ მოურჩენელი სენით დაავადებულნი და სამუდამოთ იღუპებიან კიდეც.

იმპერიალისტები ამზადებენ ახალ მსოფლიო ომს იმპერიალისტური მონობის განსამტკიცებლად. პროლეტარებო, დადექით კომინტერნის დროშის ქვეშ კაპიტალიზმის დასამხობად.

მაგრამ არც შინ დარჩენილები არიან უკეთეს პირობებში, აპრილისათვის დამზადებული უნდა იყოს მინდორი ბრინჯის დასათესად. ამავე დროს საჭიროა აბრეშუმის ჭიის მოსაყვანად სათანადო თადარიგის მიღება. საცხოვრებელი სახსარი კი არსაით გააჩნიათ. გლეხები იღებენ სესხს მევახშეებისგაან, ისინი ივლისის დამლევამდე 20% აძლევენ, ასეთ მამასისხლად აღებული თანხით უნდა შეიძინოს გლეხმა თოხი, ცული და სხვა სამუშაო იარაღები, ურომლისოთ ის ვერაფერს გააკეთებს ყანაში.

დგება სიცხეები. ჭვავი, ბრინჯი და სხვა ჭირნახული იზრდება. გლეხების სიხარულს საზღვარი არა აქვს, დარწმუნებულნი არიან სიმშილით არ ძოკვდებიან, მიუხედავად აძისა მათი ჯიბეები ყოველთვის ცარიელია, ბავშვები დადიან სკოლებში, მაგრამ სახელმძღვანელოების შესაძენად ისინი იძულებულნი არიან საოჯახო ნივთები ლომბარდში დააგირაონ.

დგება მაისი — ბრინჯის დათესვის დრო, ისევ საზრუნავი უჩნდება გლეხს, მიწის დასამუშავებლად ცხენი არა ჰყავს, არც ფული აქვს რომ შეიძინოს. ცხენი კი ღირს არა ნაკლები 150 იენისა. ამის ყიდვა მას არ შეუძლია. ის მიდის მეზობლად — მემამულესთან, რომელსაც ჰყავს გასაქირავებელი სამუშაო ცხენი. ხშირია ისეთი მემამულე, რომელსაც 500 — 600 ცხენი ჰყავს. ისინი აქირავებენ ცხენებს იმ პირობით, თუ გლეხი მას შეინახავს მთელი წლის განმავლობაში. ეს გაქნილი ობობები ყიდულობენ ძვალ-ტყავა ცხენებს, აქირავებენ მათ გლეხებზე და ამრიგად ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან შეინახონ ცხენები მთელი წლის განმავლობაში. როცა ცხენი მოლონიერდება, მოსუქდება და სულს მოითქვამს მემამულეებს გაჰყავთ ისინი და ყიდიან ბაზარზე.

გლეხებს კარგად ესმით ეს ოინები, მაგრამ რა უნდა ჰქნან?

— ჩვენ არ გვიყვარს მდიდრები, — მაგრამ ცხენი რა შუაშია, — იძახიან ისინი. ამრიგად გლეხები ბავშვივით უვლიან და კვებავენ ცხენებს.

დადგება ივნისი. დიდი და პატარა ყველანი გადიან მინდვრად სამუშაოდ, ისინი დღე და ღამე მთელი ორი კვირის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობენ. სთესენ ბრინჯს და შემდეგ გადარგავენ, ისე როგორც ჩვენში კომბოსტოსა რგავენ ხოლმე. ცოტაოდენ ფულს იღებენ მხოლოდ პარკის გაყიდვის შემდეგ. მაგრამ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ შემთხვევაშიაც საგრძნობლად ხელს ითბობენ ჩარჩი-ვაჭრები. მაგალითად გასულ წელს სოფელს მოედვენ ამ ჩარჩების აგენტები და წინასწარ შეისყიდეს მთელი პარკის მოსავლის 1/3 ნაწილი. შემდეგ კი შესწყვიტეს ყიდვა.

— ჩვენ უკვე საკმაოდ შევიძინეთ. თუ კი უფრო იაფად მოგვცემთ სხვა საქმეაო, — აცხადებენ ისინი.

ამის შემდეგ ვაჭრები 20% ნაკლებს იძლეოდენ ლის ფასად გაეყიდათ პარკი.

ვინემ წინად. სოფლელები კიდევ იძულებულნი იყვენ ჩა-

აღებული ფული ჩვენ მთლიანად გადავეცით მევახშეებს. ამით ამოიწურა მთელი ჩვენი შესაძლებლობა.

ისევ გრძელდება აუტანელი და მოუთმენელი სამუშაო. „ზაფხულში არ გაცივდები. ზაფხულში მუშაობა შეიძლება უტანისამოსოდ და უცეცხლოთ", — გაიძახიან

იაპონელი გლეხი თავისი ქოხის წინ.

გლეხები და თუ რაიმე გააჩნიათ სუყველაფერს ხელში უყრიან ჩარჩ-მევახშეებს. თუ ვინმე ავად გახდა მას არა ჰყავს მომვლელი, არც ექიმია სადმე მახლობლად. ამ ზაფხულზე ჩვენი მეზობლის ქალი ბრინჯის ყანაში მორჩა, მშვენიერი ბავში შეეძინა. მშობიარობის მესამე დღეს ის იძულებული გახდა სამუშაოდ გასულიყო.

დგება შემოდგომა. საჭიროა მიწის ღალის გადახდა. ამრიგად მთელი ზაფხულის განმავლობაში წვითა და დაგვით მოწეული ჭირნახული მცირედი ნაწილის გამოკლებით მიაქვს მემამულეს. ამიტომ რა გასაკვირალია, თუ ასეთ მძიმე პირობებში მთელს მხარეში ძალიან ხშირად ადგილი აქვს აჯანყებებს. გლეხები ცეცხლს უკიდებენ მემამულეთა სახლკარს, აწყობენ დემონსტრაციებს სასამართლოს სადგომის წინ, რომელიც ხშირად თავდება ხოლმე მოსამართლეთა ცემა-ტყეპით.

მიუხედავად სასტიკი დევნისა რევოლიუციონურ გლეხთა კავშირი ყოველ წლიურად იზრდება იაპონიაში. წელს პირველ მაისს ჩვენ მოვაწყვეთ გრანდიოზული დემონსტრაცია. ყველა დემონსტრატები მიდიოდენ ნამგლით შემდეგი ლოზუნგის ქვეშ: „მ ი ე ც ი თ მ ი წ ა გ ლ ე ხ ე ბ ს"!

ხაიაში.

კოლონიელი მონები იმპერიალისტურ ომში

ეგრეთ წოდებულმა კულტურულმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო შეთანხმების გზით გააუქმეს ვაჭრობა ნეგრებთან. მართალია, თეთრკანიანები დღეს უკვე არ ყიდულობენ შავკანიან მამაკაცებსა და დედაკაცებს ამერიკაში გადასაგზავნათ, მაგრამ გაცილებით უფრო ვერაგულად იქცევიან. ჯერ კიდევ გემზე მექანიკოსად ყოფნის დროს, როცა მე მიხდებოდა მოგზაურობა ჩრდილოეთ აფრიკისა და აზიის ნაპირებზე ყველგან ერთიდაიგივე სურათი იშლებოდა ჩემს თვალწინ. მე თანდათან ვრწმუნდებოდი, რომ მონობის უარყოფა რჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე და საშინელი, მწარე ბედი უამრავ დაბეჩავებულ კოლონიალური ერებისა ისევ ჟრუანტელს გვრიდა ოდნავ კაცთმოყვარე ადამიანს.

ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობენ ფრანგი „ცივილიზატორები". 1922 წ. მე ვნახე საიგონში შემაძრწუნებელი სურათი. გიდროგრაფიულ გემის ანძაზე თავდაღმა ეკიდა ერთი ადგილობრივი მკვიდრი. ეს მხეცობა ჩაუდენიათ მხოლოდ იმისათვის, რომ მან თურმე ხელი შემოუბრუნა ერთ-ერთ კოლონიზატორს, რომელიც უდანაშაულოდ სცემდა მას. საბრალო ადამიანი დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ მიიცვალა. ის ანძაზე ეკიდა ორი დღე და ღამე.

იმპერიალისტურ ომის დროს, როცა საფრანგეთის ჯარები უმოწყალოდ განადგურდენ ღენერლების უთაობისა და უნიჭო გეგმების წყალობით, ხელისუფლება იძულებული გახდა ჯარის ნაწილები შეევსო კოლონიელ ჯარისკაცებით.

ალჟირში საფრანგეთის მთავრობამ წინასწარ გამოსცა განცხადება, სადაც ის მოუწოდებდა ალჟირელებს სამშობლოს ინტერესების დასაცავად. ომიდან დაბრუნების შემდეგ მთავრობა პირდებოდა მათ ფრანგ მოქალაქეთა უფლებების მინიჭებას.

ბერლინის პოლიცია ცდილობს მონახოს ის მუშები, რომლებიც ავრცელებენ აკრძალულ გაზეთ **„როტე ფანეს"** ნაცვლად დასტამბულ გაზეთ **„როტე შტურმფანეს"**. ეს გაზეთი გერმანიის კომპარტიის ცეკას ორგანოა.

ჯარის გაწვევა კარგად ჩატარდა ფრანგებისა და ადგილობრივ მკვიდრ — ალჟირელ ჟანდარმების დახმარებით. მაგრამ მოსახლეობა ხედავდა, რომ ომში წასულებისაგან ცოტა ბრუნდებოდა უკან; ამ ნიადაგზე გახშირდა დეზერტირობა. ისინი სტოვებდენ თავიან სახლ-კარს მობილიზაციის გამოცხადებამდე, ნაწილი კი უფრო ჭკუით მოიქცა, მათ დაუცადეს ჭირნახულის აკრეფას და ხელისუფლებისაგან ტანისამოსისა და იარაღის მიღებას, ამის შემდეგ ისინი მთელი გუნდებით შეიარაღებულნი გარბოდენ ტყისკენ. კაბილიის მთის მწვერვალებზე შეკავშირდენ რამდენიმე ათასი შეიარაღებულნი. მათი შეპყრობა და განიარაღება ყოვლად შეუძლებელი იყო საგრძნობი მსხვერპლის გაუღებლადძ

უფრო ჩამორჩენილ კუთხეში — საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლები სხვა გეგმებით მოქმედებდენ.

სოფლის ბობოლა მამასახლისები თვეში ერთხელ ღებულობდენ მოთხოვნილებას ახალგაზრდობის შესახებ. მამასახლისები თავს უყრიდენ ახალგაზრდებს და აბარებდენ მთავრობის წარმომადგენლებს. ისინი პასუხს აგებენ თუ სისრულეში არ მოიყვანდენ ამ მოთხოვნილებას და აპატიმრებდენ კიდეც. ომის მეორე წელიწადს ესეც არ შველოდა საქმეს, მიუხედავად შავკანიან დეპუტატ დიანნის ცდისა და თავგამოდებისა. მაშინ მთავრობამ მიმართა სხვა საშუალებას, იმ სოფლებს, რომლებიც არ დაემორჩილებოდენ აღნიშნულ ბრძანებას და არ წარადგენდენ ახალგაზრდებს, სწვავდენ. მიუხედავად სასტიკი რეპრესიული ზომებისა დეზერტირობა ისე გახშირებული იყო, რომ მთავრობა იძულებული შეიქნა ზოგიერთი სოფლებისათვის წინასწარ ალყა შემოერტყა.

ასევე იქცეოდენ მადაგასკარშიაც.

ინდო-ჩინეთში, რომლის მოსახლეობა საუკუნეთა განმავლობაში შეეჩვია მონობასა და სხვის მორჩილებას, ძნელი არ იყო მთელი ბათალიონების შეგროვება ყვითელ კანიანებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ მათი განვითარება ეხლა იწყება მხოლოთ და ინდო-ჩინელმა ჯარისკაცებმა არ იცოდენ წერა-კითხვა ისინი ადვილათ გამოერკვიენ, თუ რაში იყო საქმე.

რაც შეეხება სენეგალებს (კოლონიალური ჯარისკაცები) 1917 წ. მათი დანაკლისი იმდენად საგრძნობი იყო, რომ მათი მდგომარეობა საფრთხეში ჩავარდა. ერთ-ერთი იმათთაგანი, სუდანელი შ ე ი კ უ, რომელიც ორჯერ დაიჭრა დარდანელთან და დაჯილდოვებულ იქნა ორდენით, ისარგებლა დაკარში ევაკუაციით და აგიტაცია გასწია თეთრებთან სამსახურის წინააღმდეგ. ამისათვის შეიპყრეს ის და გადაგზავნეს კატორღაში გვიანუზე. ოდესაში 1919 წ. შემდგარი ფრანგ ჯარისკაცებშიაც იყო ორი სენეგალელი.

ომის დასასრულს, მალგაშელებთან შეიქნა უკმაყოფილო ჯგუშები. საფრანგეთის ცხოვრებამ აუხილა მათ თვალი და ნათელი გახადა მათთვის თეთრების მოუთმე-

ნელი ექსპლოატაცია შავკანიანებისა და საერთოდ ყველა კოლონიელების მიმართ. 1919 წ. მოკავშირეთა მიერ სტამბოლის ოკუპაციის დროს მალგაშელთა ადიუტანტმა მთელი ბათალიონის წინაშე სასტიკი პროტესტი განუცხადა ფრანგ ენერალს, კოლონიელების მიმართ ცუდი მოპყრობისათვის. ამისათვის ის პასუხისგებაში მიეცა და დააპატიმრეს.

ასეთს შემთხვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი საერთაშორისო იმპერიალისტურ ომის დროს. იმპერიალისტებს დიდი იმედი აქვთ, თუ ახალი ომი ატყდება ისინი შესძლებენ ხელმეორეთ გარეკონ ეს ხალხი ომში მონაწილეობის მისაღებათ. მაგრამ მათი მოლოდინი ამაოა. ეს მონები უკვე გამოფხიზლდენ. მათ დღეს კარგათ იციან, თუ ვისი ინტერესები უნდა დაიცვან, და ვის უნდა ეომონ.

ანდრე მარტი.

რევოლიუციონერ მეზღვაურთა და ჯარისკაცთა დევნა

ბურჟუაზიის მთავარ საზრუნავ საგანს წარმოადგენს ჯარისა და მეზღვაურთა ნაწილებში რევოლიუციონურ გავლენასთან ბრძოლის წარმოება. ყველა ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ენერგიულად დაიცვან ყაზარმები „წითელი სახადისგან“, ისინი გაშმაგებით თავს ესხმიან ყველა იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ამა, თუ იმ სახით თანაუგრძნობენ პარტიას, ან კომკავშირს.

რევოლიუციონერ ჯარისკაცთა და მეზღვაურთა დევნის ყველა შემთხვევების ჩამოთვლა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ იძულებულნი ვართ მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხოლოთ რამდენიმე კონკრეტიულ ფაქტზე.

საფრანგეთი: ტირასპოლში, ხერსანსა და ოდესაში 1929 წ. თებერვალ-მარტ-აპრილის განმავლობაში შეპყრობილ იქნენ მთელი ნაწილები და გადაგზავნეს აფრიკაში სასჯელის მოსახდელად იმიტომ, რომ მათ უარი განაცხადეს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე.. საფრანგეთის ჯარების 176 ქვეითა პოლკის 9 ჯარისკაცს ხერსონში საერთო ჯამით მიუსაჯეს 50 წლით კატორღა, 19 საარტილერიო პოლკის 4 ჯარისკაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, 7 მესანგრე პოლკის 8 ჯარისკაცს 59 წ. კატორღა საერთო ჯამით, ამათში ერთს სიკვდილით დასჯა 20 წ. კატორღათ შეეცვალა. ნაღმოსან „ფ რ ა ნ კ ო“-ს 6 მეზღვაურს მიესაჯა 47 წელი პატიმრობა. 1 კაცს — 16 წელი პატიმრობა, ხოლო 2 კი ორ-ორი წელი საკატორღო საპატიმროში დატყვევება. ამხ. ა ნ დ რ ე მ ა რ ტ ი ს მიესაჯა 20 წ. კატორღა. მკაცრი ზომები იქნა აგრეთვე მიღებული ჯავშნოსანი „ჟიუსტის“-ის, „პროვანს“-ის, „დიდრო“-ს, „ვოლტერი“-ს, ნაღმოსან „ტუარეგ“-ის და კრეისერ „გიშენი“-ს მეზღვაურთა წინააღმდეგ.

1925 წ. აგვისტოში მოხდა გემი „პარიზ“-ზე აჯანყებულ მეზღვაურთა დამორჩილება. გემი „კონდორსე“-ზე მოსამსახურე 3 მეზღვაურს „ინტერნაციონალის“ სიმღერისათვის 53 თვე პატიმრობა მიესაჯა. 1925 წ. სექტემბერში განადგურებული იქნა გემი „ვოლტერზე“ მომხდარი მეზღვაურთა აჯანყება.

საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 1925 წ. მაროკოში წარმოებულ ომის განმავლობაში 1400 რევოლიუციონერ მეზღვაურებსა და ჯარისკაცებს მიესაჯა საკატორღო მუშაობა.

1926 წ. განმავლობაში ჩაქრობილ იქნა აჯანყებები გემი: „მეც“-ზე, „მილუზ“-ზე, და „ლიგენ“-ზე და სხ.

ბერლინში პირველ მაისის დღესასწაულის დროს დაღუპულთა დაკრძალვა. მიუხედავად მთავრობის მიერ ოფიციალურად აკრძალვისა, დაკრძალვაზე მაინც გამოცხადდენ ჰამბურგის წითელ ფრონტელთა და წითელ მეზღვაურთა დელეგატები თავიანთ ფორმებში.

1927 წ. ივლისში 22 პოლკში მოეწყო 11 უდიდესი დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 ჯარის კაცმა.

1927 წ. სექტემბერში საპატიმროს აუტანელი რეჟიმის საწინააღმდეგოდ აჯანყება მოეწყო ტულონის საზღვაო საპატიმროში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ ასეული მეზღვაურები. 65 მეზღვაური იმავე დღეს გადაიყვანეს „მალცბუკი“-ს საკატორღო საპყრობილეში. საკნებში დარჩენილები კი მთელი 2 დღის განმავლობაში განიცდიდენ ჟანდარმერებისაგან შევიწროვება-თავდასხმებს.

ბევრი მათგანი მძიმედ დაიჭრა.

1927 წ. დეკემბრის დამლევს აჯანყება დაიწყო დისციპლინარულ საპატიმრო — კალვიაში (კუნძული კორსიკა). 15 მეზღვაური და ჯარისკაცი გადაეცა სამხედრო სასამართლოს, რომელმაც მიუსაჯა მათ მრავალი წელით კატორღაში გადასახლება და იძულებითი მუშაობა.

1927 წ. დეკემბრის 31 შეპყრობილ იქნა 16 ჯარისკაცი, 14 მეზღვაური, 13 „რეზერველები“, 25 ჯარის კაცი რომლებსაც მიესაჯა 112 წ. საპყრობილე.

192 წ. ბურჟუაზიული გაზეთი „ეხო დე პარი“ აღნიშნავდა, რომ კომუნიზმი, ასე ფართოდ, როგორც დღეს არის, არასოდეს არ ყოფილა გავრცელებული საფრანგეთის ჯარში, ის გულისტკივილით .აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ჯარის ყველა ნაწილებში არსებობს კომუნისტური უჯრედები.

საპირველმაისო დემონსტრაცია ნიუ-იორკში. პლაკატებზე აწერია: „ძირს მუსოლინი და შტრეიკბრეჰერები“. ფაშიზმმა იტალია უდიდეს საპყრობილედ გადააქცია“. „მუშათა კლასო! არ დაივიწყო გასტონ სელის მკვლელობა“.

1928 წ. ოქტომბერს საკატორღო საპატიმრო „საკლევრო“-ში მოთავსებული იყო 600 რევოლიუციონერი ჯარის-კაცი და მეზღვაური. საერთო ჯამის მიხედვით იმ ხანებში საფრანგეთის საპატიმროებში მოქცეული იყო 1000 რევოლიუციონერი.

ჩ ი ნ ე თ ი: 1927 წ. თებერვალს შანჰაიში მდგომ ჯარის ნაწილებს, რომლებიც ინგლისის ჯარის შესავსებათ უნდა გადაეგზავნათ უნდობლობა გამოუცხადეს და ამ ნიადაგზე პენჟაბის პოლკის 4 როტა ჯარისკაცები უკანვე დააბრუნეს.

1927 წ. ვან-ხოვში მეექვსე არმიის 600 ჯარისკაცი განაიარაღეს, მათში „მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე გ ა ვ ლ ე ნ ი ს“ შემჩნევისათვის.

იმავე თვეს ვუხუში 21 არმიის განიარაღებასთან დაკავშირები შეტაკების დროს მოკლულ! იქნა 11 ჯარისკაცი, ხოლო რამდენიმე ათეული კი დაიჭრა.

1926 წ. 23 თებერვალს კანტონში დახვრიტეს სამხედრო აკადემიის 4 მსმენელი, რომლებიც ეჭვით შეიპყრეს კომუნისტური გავლენის შემჩნევისათვის.

კანტონის დიქტატურის ლი-ტი-სინის განკარგულებით შეჩერებული იქნა ჯარის ნაწილების შევსება იმ მოსაზრებით, რომ კომუნისტები ჯარისკაცების სახით აპირებენ ჯარში შესვლასო.

1928 წ. მარტს მუკდენის ჯარების ლენერალის ჩი-ჩაოს მიერ პეკინ — ხანკოუს რკინის გზის მახლობლად განიარაღებული იქნა რევოლიუციონური ნაწილები.

1928 წ. ივლისს კანტონში მომხდარ აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა 10 არმიის 10000 ჯარისკაცი.

ჩი-ფუმში აგვისტოს განმავლობაში განიარაღებულ იქნა 200 არასაიმედო ჯარისკაცი. შეტაკების დროს დაიჭრა 100 მეტი.

ჰ ო ლ ა ნ დ ი ა: 1926 წ. ბოლო ხანებში არეულობა დაეტყო ასენის, ადესა და აპელდორნის გარნიზონის ნაწილებს. წესრიგის დასამყარებლად გაგზავნილმა გვარდიის პოლკებმა უარი განაცხადეს აჯანყებულთა წინააღმდეგ მოქმედებაზე.

ი ტ ა ლ ი ა: 1927 წ. აგვისტოს ბოლო რიცხვებში ლივორნოში წარმოებულ მანევრების დროს ადგილი ჰქონდა მღელვარებებს ჯარის მთელ რიგ ნაწილებში. მოკლულ იქნა 15 ჯარისკაცი. 1927 წ. დასაწყისში იტალიის „გამანადგურებელზე“ თავი იჩინა უწესრიგობამ. მძიმე იარაღების ერთი ნაწილი აიღეს და ზღვაში გადაისროლეს. მთელი „კომანდა“ ოფიცრებისა და ჯარისკაცების შეიპყრეს.

ლ ი ტ ვ ა: 1927 წ. ოქტომბერს რევოლიუციონურ მღელვარებაში მონაწილეობისათვის ერთ ოფიცერს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, 10 ჯარისკაცს კი დაპატრრება სხვადასხვა ვადით.

1927 წ. მარტს კოვნოში გაავრცელეს ხმა 14 — 20 მარტს იქ მოსალოდნელ აჯანყების შესახებ, ამასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა მასიური დაპატიმრებანი. შეპყრობილ იქნა 3000 მეტი კაცი.

რ ა ა რ ი ს რ ე მ ე დ ა ს?

(გაგრძელება *)

მხოლოდ სრულიად შეუგნებელ კაცს, რევოლიუციის აშკარა მტერს შეუძლია არ გამოეხმაუროს რემედასის მოწოდებას იმის შესახებ, რომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ თეთრი ტერორის მსხვერპლთ. მაგრამ ვინც გამოეხმაურება მან შეგნებულად უნდა დაეხმაროს, არა ძალდატანებით, არა სიბრალულით. არამედ თავისი კლასობრივი რევოლიუციონური მოვალეობის შეგნებით. მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც უბრალო გულკეთილობით, სიბრალულით სწირავენ თავიანთ წვლილს რემედასის სასარგებლოდ, ისე როგორც ვინმე გულკეთილი მოხუც მართხოვარს აწვდის 1 კაპეიკს. ჩვენ ასეთები არ გვინდა, ჩვენ მოწყალებას არ ვთხოულობთ. ჩვენ ვეხმარებით მებრძოლ ამხანაგებს, რო-

*) იხ. ჟურნ. „რემედას“-ის № 6.

მელნიც კაპიტალისტურ ციხეებში იტანჯებიან; ჩვენ ამით ვეხმარებით და ვამაგრებთ რევოლიუციას.

ზოგიერთები შეუგნებლად გაურბიან რემედასს, განზე გამდგარან და გაიძახიან: რ ა ს ა ქ მ ე მ ა ქ ვ ს მ ე უ ცხ ო ქ ვ ყ ნ ი ს პ ო ლ ი ტ-პ ა ტ ი მ რ ე ბ თ ა ნ, მ ხ ო ლ ო დ მ ე ნ უ შ ე მ ე ხ ე ბ ი ა ნ, რ ა ს ა ჭ ი რ ო ა რ ე მ ე დ ა ს ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა, ა მ ი თ ტ ყ უ ი ლ-უ ბ რ ა ლ ო დ გ ა ვ ა ჯ ა ვ რ ე ბ თ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ა ს დ ა მ ი თ ო მ ს დ ა ვ ა ჩ ქ ა რ ე ბ თ ო.

მუშებს და გლეხებს არ შეუძლიათ ასე იფიქრონ: უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ გვყავს ერთი საერთო მტერი — ეს არის მთელი ქვეყნის ბურჟუაზია. ყველა მშრომელები, რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი, ჩვენ ყველანი მიუხედავად კლასისა და ეროვნებისა ძმები ვართ. ყველა პროლეტარი და გლეხი, რომელ ენაზე არ უნდა ლაპარაკობდეს ის, რომელ ტომსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, სადაც არ უნდა სცხოვრობდენ ისინი ყოველთვის და ყველგან მათ სჩაგრავს საერთო მტერი — ყველა ეროვნებისა ბურჟუაზია. კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში ყველა მშრომელი ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა მიდიოდეს ერთი ფრონტით. პროლეტარიატის ძლიერება წარმოდგება მის ორგანიზაციულად შემჭიდროება-შეკავშირებაში. საერთაშორისო რევოლიუციის ძლიერება წარმოსდგება საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობაში. ასეთი სოლიდარობა არა ერთხელ გამოიჩინა მუშათა კლასმა კლასიურ ბრძოლის წარმოების დროს.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ საზღვარგარეთელ ამხანაგების დახმარებით დაამარცხა თავისი ქვეყნის ბურჟუაზია რუსეთის პროლეტარიატმა. პოლონეთის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ქვეყნების მუშები ხელს უშლიდნენ თავიანთ ქვეყნის ბურჟუაზიას ჩვენზე გალაშქრების მოწყობაში.

ისინი ახდენდენ გაფიცვებს ქარხნებში, ფრონტებზე არ უშვებდენ შეიარაღებულ მატარებლებს და ბურჟუაზიის ზურგს უკან ახდენდენ აჯანყებებს და ამზადებდენ რევოლიუციას. „რ ა ტ ო მ გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ე თ ჩ ვ ე ნ?“ კითხულობდა ამხ. ლ ე ნ ი ნ ი და ამ კითხვაზე, თვით უპასუხებდა: „ჩ ვ ე ნ გ ა ვ ი მ ა რ ჯ ვ ე თ, ა რ ა ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ჩ ვ ე ნ გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ძ ლ ი ე რ ნ ი ვ ი ყ ა ვ ი თ, ა რ ა მ ე დ ი მ ი ტ ო მ, რ ო მ ა ნ ტ ა ნ ტ ი ს მ შ რ ო მ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი ჩ ვ ე ნ თ ა ნ უ ფ რ ო ა ხ ლ ო ს ა ა, ვ ი დ რ ე თ ა ვ ი ს ქ ვ ე ნ ი ს ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ულ მ თ ა ვ რ ო ბ ა ს თ ა ნ ო“.

არასოდეს არ უნდა იქნეს დავიწყებული საზღვარგარეთელ პროლეტარიატის მიერ წითელი ჯარისადმი გაწეული დახმარება. მით უმეტეს ამჟამად, როცა კაპიტალისტური სახელმწიფოები ხელახლა ამზადებენ ჩვენზე თავდასხმას. აბ 'მ'ბ'თხ'ვ'ვ'ა'ში ჩვენი შორეული ამხანაგები აწარმოებენ ბრძოლას ომის წინააღმდეგ, რომლებმაც ამ ბრძოლას თავიანთი სიცოცხლეც კი შესწირეს; ბევრი მათგანი დღესაც საპყრობილეებში სხედან. მაგ. საფრანგეთის წითელი დახმარების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ და რემედასის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა ნ დ რ ე მ ა რ ტ ი მ 1918 წ. ოდესაში დარაზმა ფრანგი მეზღვაურები და უარი განაცხადეს წითელების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რისთვისაც მარტი რამოდენიმე წლის განძავლობაში იჯდა ციხეში. 1928 წ. თებერვალში მეზღვაურებისა და ჯარის აჯანყებისათვის ამხ. მ ა რ ტ ი ხელმეორედ იქმნა დაპატიმრებული და დღემდე ის ციხეში ზის. უკანასკნელ ხანებში, ჯარში არეულობის მოწყობისათვის დაპატიმრებული იქნა მარტის ძმა მ ი შ ე ლ ი. იმავე 1928 წ. დასაწყისში სახელმწიფოს „ღალატისათვის“ საფრანგეთში დახვრეტილ იქმნა 11 ჯარისკაცი. ეს უკანასკნელი თავგამოდებით იბძოდენ იმ ომის სამზადისის წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ფრანგულ გაზეთ „პ რ ა ვ დ ა ს“ რედაქტორი ამხ. კ უ ტ ი უ რ ი ე დასჯილი იქმნა იმისათვის, რომ თითქოს ის ჩინეთში გაგზავნილ ჯარის კაცებს მოუწოდებდა დაძმობლებოდენ ჩინელ ჯარის კაცებს, რათა არ ებრძოლათ ჩინელ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

უკანასკნელად 1928 წ. 4 აგვისტოს იმპერიალისტური ომის მე-14 წლის თავზე საფრანგეთის პროლეტარიატმა მოაწყო გრანდიოზული დემონსტრაცია ახალი ომის წამოწყების საპროტესტოდ. ამისათვის ერთი დღის განმავლობაში დაპატიმრებული იქნა 2000 მუშა. ასეთივე დაპატიმრებანი მოეწყო პოლონეთსა და გერმანიაში. უნდა დავეხმაროთ, თუ არა ვინც ამ საქმისათვის სხედან ციხეებში? უთუოდ უნდა დავეხმაროთ! მხოლოდ ყველა ქვეყნის მუშებისა და გლეხების ურთ-ერთ მჭიდრო კავშირს შეუძლია გაანადგუროს ბურჟუაზიის ძალაუფლება და დაამთავროს ყოველგვარი სისხლის მღვრელი ომები.

პროლეტარულ სოლიდარობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან გერმანიის მუშები. მათ შექმნეს „წ ი თ ე ლ ი ფ რ ო ნ ტ ე ლ ე ბ ი ს კ ა ვ შ ი რ ი“, რომელნიც მზათ არიან დაეხმარონ საბჭოთა კავშირს. ასეთივე კავშირები შექმნილია ავსტრიაში, საფრანგეთსა და ინგლისში. როდესაც გერმანიის „წ ი თ ე ლ ფ რ ო ნ ტ ე ლ ე ბ ი“ იბრძვიან ომის წინააღმდეგ, როცა ჩინეთის რევოლიუციონერები აწყობენ აჯანყებებს, როცა ინგლისის მემაღაროელები ახდენენ გაფიცვებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ვალდებულია თუ არა დაეხმაროს მათ? თქმა არ უნდა ჩვენ

მაკდონალდის მთავრობა — იმპერიალიზმის ერთგული ლაქიაა. ძირს ბურჟუაზიის მსახურთა ნიღაბი — გაუმარჯოს ინგლისის პროლეტარიატის რევოლიუციონურ ბრძოლას.

უნდა დავეხმაროთ მათ, როგორც ზნეობრივად ისე მატერიალურად.

საერთაშორისო კაპიტალსა და შრომას შორის მომავალ გადამწყვეტ ბრძოლის დროს ბურჟუაზიული, კოლონიალური და საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასი ერთსულოვნად უნდა გამოვიდენ საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ.



პოლიციელები ერეკებიან დემონსტრანტებს.

არ უნდა დავივიწყოთ პარიზის კომუნის გაკვეთილები. 1871 წ. 18 მარტის პარიზის მუშების დიადი აჯანყება ჩაქრობილ იქნა ბურჟუაზიის შეერთებულ ძალებით. ამათ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ სხვა ქვეყნების მუშებმა ვერ შესძლეს აღმოეჩინათ დახმარება პარიზის კომუნარებისათვის. მათ ვერ მოახერხეს გლეხობასთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. პროლეტარიატი ითვალისწინებს რა ამ გაკვეთილებს, ის ყოველ წლიურად ნიშნად ერთსულოვნებისა დღესასწაულობს 18 მარტს, როგორც რემედასის დღეს. პარიზის კომუნარების მიერ დაწყებულ საქმისათვის მებრძოლთ, ჩვენ ვეხმარებით ყოველმხრივად.

ყოველი მუშის და გლეხის მოვალეობას შეადგენს გაამაგროს საერთაშორისო მშრომელთა ერთსულოვნება რათა ამით უზრუნველყოს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

მშრომელთა მოვალეობას შეადგენს აქტიური მონაწილეობა მიიღოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა წითელ დახმარებაში და მით გაამაგროს რემედასის რიგები. რემედასის საშვალებით პოლიტ-პატიმრებზე აღმოჩენილი დახმარებით უნდა გავამაგროთ საერთაშორისო პროლეტარული ერთსულოვნება. ასეთ დახმარების აუცილებლობა ადვილი გასაგებია ყველა იმათთვის ვისაც განუცდია კოლჩაკის და დენიკის მათრახი, ჟანდარმების და პოლიციელებისაგან დევნა.

ამიტომ იყო, რომ რემადასის დაარსების საკითხი წამოაყენეს 1922 წ. ბოლოს ძველი ბოლშევიკების და პოლიტ-კატორღელების საზოგადოებებმა ძველმა მებრძოლებმა დაარსეს რემედასი და მოუწოდეს ყველა ქვეყნის მშრომელებს ჩადგნენ საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნების დროშის ქვეშ.

ძველ ბოლშევიკებისა და ყოფილ პოლიტ-კატორღელების წამოწყებას გამოეხმაურენ ყველა ქვეყნის მრავალმილიონიანი მშრომელი მასები. 6 წლის განმავლობაში რემედასის ორგანიზაციები ჩამოყალიბდა 49 სახელმწიფოში. დღეს მის რიგებში ირიცხება 8.900.000 წევრი 1928 წ. 1-ლ იანვრისათვის საკავშირო რესპუბლიკებში რემედასის რიგებში ირიცხებოდა 3.621.650 კაცი. მათ შორის 72,8% უპარტიო. ფაბრიკებში და ქარხნებში დაარსდა 50.000 უჯრედები.

შედარებით საზღვარგარეთ უფრო ძნელია გავშალოთ რემედასის მუშაობის საქმე. მთელ რიგ ქვეყნებში (როგორიცაა პოლონეთი, იტალია, რუმინეთი, ბულგარეთი) რემედასი არალეგალურად მუშაობს და იდევნება ბურჟუაზიის მიერ.

იტალიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის საბრალმდებლო დასკვნაში ნათქვამი იყო: რომ რემედასი მავნე დაწესებულებაა, ეს სჩანს იქიდან, რომ მას უწოდებენ „წითელ ჯვარს“, რომელიც ენერგიულად იბრძვის მუშათა კლასის განსათავისუფლებლადო.

რემედასის ორგანიზაციებში მრავალი აქტიური მომუშავენი ფაშისტურ სახელმწიფოებში სასტიკად ისჯებიან. მაგ. 1927 წ. 14 დეკემბერს რემედასის ორგანიზაციაში მუშაობისათვის ამხ. ლ ი ფ შ ი ც ს ვარშავის სასამართლომ მიუსაჯა 4 წ. კატორღა. იტალიაში ასობით ჩაჰყარეს ქალები ციხეებში მხოლოდ იმისათვის, რომ მათ თავის მახლობელ ნათესავებს გადსცეს რემედასის მიერ აღმოჩენილი დახმარება. მრავალი მუშა დაისაჯა იმისათვის, რომ ისინი პოლიტკატორღელების სასარგებლოდ აგროვებდენ შემოწირულებებს. ესტონეთში დასაჯეს 7 ქალი იმისათვის, რომ მათ პოლიტკატორღელებს მიაწოდეს რემედასის მიერ ნაყიდი სურსათი. სასამართლომ მათ მიუსაჯა პატიმრობა. დასჯილთა შორის იმყოფებოდა 62 წლის ავადმყოფი მოხუცი ქალი ამხ. შ ა ტ კ ა, რომელსაც მიესაჯა 4 წლის საპყრობილე.

ჩინეთში დაპატიმრებული იქნა მრავალი მუშა იმისათვის, რომ მათ აღმოაჩნდათ რემედასის ჩინეთის სექციის საწევრო წიგნაკები. მიუხედავათ ასეთი რეპრესიებისა საზღვარგარეთ იმყოფება 400 ათასი ინდივიდუალური და 4 მილიონი კოლექტიური წევრი, რომლებიც გაერთიანებულნ არიან კავშირებსა და კოოპერატივებში და ირიცხებიან რემედასის რიგებში.

იმის წყალობით რომ რემედასი გადაიქცა მასიური მრავალ მილიონიან ორგანიზაციათ ის წარმოადგენს განსაზღვრულ პოლიტიკურ ძალას. დღეს მას ანგარიშს უწევს თვით ბურჟუაზიაც. რემედასი აწყობს დიად დემონსტრაციებს და მიტინგებს და ბურჟუაზიულ მთავრობებს უყენებს ამა, თუ იმ სახის მოთხოვნილებებს, 1925 წელში გერმანიის „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ი ს“ მიერ მოწყობილი იყო 2000 მიტინგი, სადაც შეგროვილ იქმნა 1.078.304 ხმა ისინი მოითხოვდენ პოლიტპატიმრების სრულ ამნისტიას. ასეთივე კამპანია ჩატარდა 1926 წ. ინგლისში 300000 კაცის ხელის მოწერით. დიდი კამპანიები ჩატარდა საფ-

რანგეთის მეზღვაურების გასანთავისუფლებლად, რომელნიც დასჯილნი იყვნენ იმისათვის, რომ მათ უარი განაცხადეს წითელი ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაზე 1918 წ. ოდესაში.

ყველა ქვეყნებში გადაიარა პროტესტის ტალღამ ამხ. საკო და ვანცეტის დასჯის წინააღმდეგ, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რემედასის ორგანიზაცია.

რემედასი ახერხებს შეიერთოს მოწინავე ნაწილი ინტელიგენციისა და სწავლული ხალხი, რომლებიც დელეგატებს აგზავნიან სხვა და სხვა ციხეებში მოთავსებულ პოლიტ-პატიმრების მდგომარეობის გამოსარკვევად რათა ბურჟუაზიაზე გავლენა იქონიონ და ამრიგად მოახდინონ პატიმრების მდგომარეობის შემსუბუქება.

მუშათა კლასის დახმარებით რემედასმა შესძლო სიკვდილისაგან გადაერჩინა მრავალი ამხანაგები. რემედასის აქტიურ ჩარევით შესაძლო გახდა, რომ პოლონეთის პროლეტარიატის ბელადის ამხ. ლ ა ნ ც უ ც კ ი ს წინააღმდეგ არ გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენი. ამავე დროს სისხლიან ჯალათების თავდასხმებისაგან დახსნილი იქნა უნგრეთის პროლეტატიატის ბელადი ამხ. რაკოში. ცანკოვის ბრბყალებიდან განთავისუფლებულ იქნა ბულგარეთის გლეხთა მოძრაობის ბელადი ამხ. კაბაკჩიევი. გერმანიის ციხიდან რემედასის დახმარებით ვადამდე განთავისუფლებულ იქნა მწერალი მ ი უ ზ ა მ ი. საერთაშორისო პროლეტარიატის მედგარ პროტესტის წყალობით და რემედასის უშუალო დახმარებით ცოცხალი გადარჩა ამხ. ბ ე ლ ა კ უ ნ ი, რომელიც დაბრუნდა საბჭოთა კავშირში. დიდი ბრძოლების შემდეგ ხანგრძლივი პატიმრობიდან ამნისტიით გაანთავისუფლეს მაქს ჰ ე ლ ც ი. უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში იყო დაპატიმრებული.

რემედასის თავის მფარველობის ქვეშ იყვანდა იმ ამხანაგებს, რომელთაც ბურჟუაზია დამნაშავის სკამზე სვამდა. ის აგზავნიდა სასამართლოს პრინციპებზე დამცველებს, რომელნიც ახერხებდნენ შეემსუბუქებიათ სასჯელი ბრალდებულებისათვის. რემედასის მატერიალურ, იურიდიულ და მორალურ დახმარებას უწევს და მთელ რიგ ღონისძიებებს ხმარობს ყველა იმათთვის, ვინც ბურჟუაზიულ ქვეყნების ციხეებში ბორკილებით სხედან. რემედასის ორგანიზაციებს მრავალი ციხეები ყავს აყვანილი თავის შეფობის და მზრუნველობის ქვეშ. საბჭოთა კავშირის რემედასის ორგანიზაციები შეფობენ 226 ციხეს. მარტო გერმანიის რემედასის ორგანიზაციას შეფობის ქვეშ ყავს აყვანილი 112 ციხე.

პატარა ავსტრიის „წ ი თ ე ლ ი დ ა ხ მ ა რ ე ბ ა“ შეფობს 3 ციხეს. შეფობის ქვეშ აყვანილი ციხეების პოლიტ-პატიმრებს ეგზავნებათ წერილები და დამსახურებული რევოლიუციონერები ირიცხებიან რემედასის ორგანიზაციის საპატიო წევრებათ. ამხ. მაქს ჰელცი და ამხ. კ ა ბ ა კ ჩ ი ე ვ ი 5 წ. რაც ითვლებიან საპატიო წითელ არმიელებათ ვიატკის გარნიზონში. წითელ არმიელები ხშირად უგზავნიდნენ მათ წერილებს და საჩუქრებს და მოითხოვდენ მათ დაუყონებლივ განთავისუფლებას. ლენინგრადის საშაქარლამოს ფაბრიკის მუშებმა თავიანთ ფაბრიკას უწოდეს მ ა ქ ს ჰ ე ლ ც ი ს სახელობის ფაბრიკა. მრავალ ფაბრიკა-ქარხნებში რემედასელი მუშები პოლიტ-კატორღელებს რიცხავდენ სამსახურში. მათ მაგიერ თითონ მუშაობდნენ ხოლო ხვედრ შრომის ჯილდოს უგზავნიდნენ შეფობის ქვეშ აყვანილ პოლიტ-პატიმრებს, ამ უკანასკნელებმა იცოდნენ, რომ მათ ოჯახებზე ზრუნავენ მუშები. ამით მათ ადვილად გადაქონდათ პატიმრობა: „ძ ვ ი რ ფ ა ს ო ა მ ხ ა ნ ა გ ე ბ ო. გ თ ხ ო ვ თ ხ შ ი რ ა დ მ ო ს წ ე რ ო თ წ ე რ ი ლ ე ბ ი მ ა რ ქ ს, თ ქ ვ ე ნ ა დ ვ ი ლ ა დ წ ა რ მ ო ი დ გ ე ნ თ თ უ რ ა რ ი გ ა დ უ ა დ ვ ი ლ ე ბ ს მ ა ს ც ი ხ ე შ ი ყ ო ფ ნ ა ს თ ქ ვ ე ნ მ ი ე რ გ ა გ ზ ა ვ ი ნ ლ ი წ ე რ ი ლ ე ბ ი“. იტყობინებოდა ჰელცის ცოლი.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ საერთაშორისო ახალგაზრდობის ერთსულოვნება. პიონერები უნდა გავხადოთ რემედასის მეგობრებათ. არა მარტო ორგანიზაციულად შემჭიდროებული მშრომელები, არამედ ხელოსნები, დიასახლისები და მოსამსახურეები არ უნდა ჩამორჩეს საერთო რევოლიუციონურ ბრძოლას და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პოლიტიკურ მუშაობაში რევოლიუციისათვის მებრძოლთა დასახმარებლად.

ამისათვის არ არის საჭირო დიდი თანხების გაღება. მუშებისათვის შემოღებულია საწევრო გადასახადი თვეში 5 კ. გლეხებისათვის — 2 კ. ვისაც სურს დაეხმაროს ამ ორგანიზაციას შეუძლიან ნებაყოფლობით გაიღოს შემოწირულება, ან ამა თუ იმ სახით აღმოუჩინოს დახმარება საზღვარგარეთელ ამხანაგებს.

რაში უნდა გამოიხატოს რემედასის წევრის მუშაობა? უჯრედის დავალებით მას შეუძლია გაავრცელოს რემედასის ლიტერატურა, შეაგროვოს ხელის მომწერლები, რემედასის ჟურნალებში და კედლის გაზეთებში, იმუშავოს რემედასის კუთხეებში, ჩაატაროს თათბირები და საუბრები რემედასის მნიშვნელობაზე, მონაწილეობა მიიღოს რემედასის სასარგებლოდ გამართულ საღამო-წარმოდგენებზე აწარმოოს აღმზრდელობითი მუშაობა ქალთა, ახალგაზრდობასა და პიონერთა შორის. რემედასის წევრს შეუძლია მიწერ-მოწერა აწარმოოს შეფობის ქვეშ აყვანილ ციხეების პატიმრებთან და მათ სასარგებლოდ შეაგროვოს,

---

პირველ აგვისტოს სოციალ-იმპერიალიზმი მოახდენს იმის დემონსტრაციას, რომ იგი ერთგულია ბურჟუაზიასთან კავშირისა და დარაზმავს ძალებს ახალი იმპერიალისტურ ომისათვის.

ამა თუ იმ სახით შემოწირულება და გაუგზავნეს პოლიტპატიმრებსა და მათ ოჯახის წევრებს. ყოველ ძა რემედასძა უნდა ჩასწეროს თითო ოროლა ახალი წევრი.

რემედასის ყოველმა წევრმა უნდა გამოიჩინოს ინიციატივა, ძოისაზროს ესა თუ ის ახალი ღონისძიება, რითაც ხელი უნდა შეუწყოს რემედასის ორგანიზაციის მოღონიერებას, რათა ამით გააძლიეროს კაპიტალის ტყვეების დახმარების საქმე. ყოველ წარმოწყებებს მხარს უნდა უჭერდეს და ეძსახურებოდეს უჯრედი. ყველა ორგანიზაციები ყოველ მხრივ დახმარებას უნდა უწევდეს რემედასის ორგანიზაციას.

რემედასის ყოველი წევრი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ შეავსოს თავისი პოლიტიკური ცოდნა, იკითხოს რემედასის ლიტერატურა, თვალყური ადევნოს ჟურნალ გაზეთებს, იმუშაოს რემედასის წრეებში, რათა ამით გახდეს ღირსეული რემედასელი.

რემედასის წევრი უნდა იყოს საბჭოთა კავშირის მოწინავე ძოქალაქე. რემედასის ორგანიზაციაში აქტიური ძონაწილეობას უნდა იღებდეს სოციალისტურ აღმშენებლობაში. საბჭოთა კავშირი საიმედო დასაყრდენს წარძოადგენს საზღვარგარეთელი რევოლიუციონერ ამხანაგებისთვის. ვაშენებთ რა სოციალიზმს საკავშირო რესპუბლიკებში, ამით ჩვენ ვაკეთებთ საერთაშორისო რევოლიუციის საქმეს. ვეწევით რა მშვიდობიან შრომას ყველა მუშას და გლეხს უნდა ახსოვდეს თავისი საზღვარგარეთელი ამხანაგები, ისიხი ვინც ეწევიან ბრძოლას საბჭოთა კავშირის დასაცავად, ვინც ციხეებში სხედან საერთაშორისო საბჭოთა წესწყობილების დამყარებისათვის.

რემედასის წევრები ეს პროლეტარული მებრძოლები არიან, ისინი აშენებენ სოციალიზმს, ისინი იცავენ საბჭოთა კავშირს და ეხმარებიან კაპიტალის ტყვეებს. ამით ისინი აჩქარებენ კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობას და სამარცხვინო მონობის გაუქმებას.

რემედასის დიად საქმეს უნდა შემოუერდენ ყველა მშრომელები ვინც ჯერ კიდევ განზე იმყოფება რევოლიუციის ბრძოლაში. ისინი უნდა გამოეხმაურონ რემედასის ძეორე ყრილობის მოწოდებას:

„საერთაშორისო ბურჟუაზიის მხეცურ მოქმედების საპასუხოდ რევოლიუციონურ პროლეტარიატის დასაცავად გავამაგროთ რემედასის რიგები, რათა ამით ხელი შეუწყოთ საერთაშორისო ოქტომბრის მოახლოვებას".

გაუმარჯოს რევოლიუციისათვის მებრძოლთა მიმართ ჩვენს აქტიურსა და ერთსულოვან დახმარებას.

დასასრული

თარგმანი: **ვლადიმერ თოდრიასი.**

ა რ ჩ ე ვ ა ნ ი

მოთხრობა — ფ. კარიკაშისა

იშტვან ტარიან ხელობით დურგალი იყო. როგორც ყოველ ხელოსანს მას თავი მოჰქონდა თავისი ხელობით. ის მუდამ იკვეხიდა და ამით იქებდა თავს. ერთხელ დურგლები მუშაობდენ ყაზარმის ეზოში. როგორღაც მათ ისე ლაზათიანად ვერ შეასრულეს სამუშაო, როგორ ეს ფიშტოს *) უნდოდა. ამ დროს საუბარი ჩამოაგდეს ისევ მისი ხელობის შესახებ.

— ჩვენ ორივენი, ისიც და მეც მორიგე უნტერები ვიყავით, — ის პირველ გუნდში, მე კი — მეოთხეში. ჩვენ ძალიან ბევრი დრო გვრჩებოდა ურთ-ერთთან სასაუბროთ. რადგანაც მე მას არ ვეწინააღმდეგებოდი, ის განუწყვეტლივ ლაპარაკობდა:

— მართალი უნდა გითხრა ჩემო ძმაო: ეს ხელობა ყველაზე პირველია დედამიწის ზურგზე, ყველა ცნობილი წმინდანები ღვთის მოსავნი და მისი მონა-მორჩილები ხომ დურგლები იყვენ, — წამოიწყო მან.

წმინდა იოსები და პეტრე — ახალგაზრდობაში დურგლები ყოფილან თურმე. როგორც საღვთო წერილი გვამცნევს პეტრე მხოლოდ სიბერეში ყოფილა კარისკაცად. მაგრამ ერთი გარემოება კია, არც ერთ იმათგანს არაფერი არ აუშენებია, ამისთვის მათ თურმე სრულიად არა რჩებოდათ დრო, სულ ქადაგებაში იყვენ გართულნი. მიუხედავად ამისა ისინი მაინც დურგლებათ ითვლებოდენ. ჩემისთახა დურგლები ყოფილან სწორეთ, მე ჯარისკაცის ფარაჯა მაცვია... ცულიც კი მაქვს, მაგრამ ის ზანდუკში გდია მუდამ... მე მას თვალის ჩინივით ვუფრთხილდები და ვინახავ რომ არ დაიჟანგოს... ო, რომ იცოდე რა იარაღია ის! ისეთი მჭრელია, რომ... ხომ გინდა პირი მოიპარსო?.

— არა ძმობილო, — ვუპასუხებ მე. რაღაც არ მინდა მოვიპარსო შენი ცულით. მე პირის კანი ჩვილი მაქვს და ადვილად შეიძლება მისი გაკაწვრა.

— ვწუხვარ ძმაო! გენახა ძაინც რა მჭრელია. სანაქებო ცულია. თუ ომი ატყდა მე უსათუოდ თან წავიღებ მას.

— ომში?

— ომში, მაშ! ის სჯობია ყველა სხვა იარაღებს. თუ გავიქნიე, არცერთ სერბიელს თავი არ შერჩება მხარზე.

— აქამდის არ მივა საქმე ფიშტო. სერბიელები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ თავს. ამიტომ, მე ვფიქრობ შენ არ მოგიხდება ცულის ამოქმედება, ჩვენ ვისხედით გასალაშინებულ, ოთხკუთხედ ძელზე და ვსაუბრობდით. იდგა მშვენიერი ზაფხულის დღე — პურის მკის დრო დამდგარიყო. ვინც კი ყოფილა ჯარში, იმისათვის ადვილი გასაგებია, რომ ამ დროს სამსახურის ასრულება მეტად ძნელია ჯარისკაცისათვის. ყველაზე უფრო საშინელი ისაა, თუ ამ დროს ფეხზე დადგომა გიწევს. ჯდომა მით უფრო უარესია.

*) ფიშტო დამცირებითი სახელია და წარმოსდგება ი შ ტ ვ ა ნ ი ს ა გ ა ნ (სტეფანე).

საუბრის დროს ჩვენ ვკიცხავდით და ვაგინებდით სერბიელებს, რომლებიც ძალით თავზე ახვევდენ ვენგრიელებს ომის ქარტეხილს. ყველა ჩვენთაგანის თვალწინ მოეპრიანათ რატომღაც ჩვენი ტახტის მემკვიდრისა და მისი მეუღლის მოკვლა, რის გამოც, რატომღაც ჯარისკაცები ვალდებულნი არიან თავიანთი სიცოცხლით პასუხი აგონ და ერთი მეორე იარაღით შემუსრონ.

ვზივართ ჩვენ ყაზარმის ეზოში და განვაგრძნობთ საუბარს. ამ დროს შემორბის ბათალიონის მორიგე ოფიცერი, მას მოსდევს უნტერი, ვახმისტრი, ბათალიონის მკერავი, მესაყვირე, ერთი სიტყვით ბათალიონის ყველა მოძრავი და უძრავი შემადგენლობა. მესაყვირე მამაცურად დგება ყაზარმის შუა ეზოში და ისე ამაშფოთებლად აჭექებს საყვირს, თითქოს სერბიელები კარიბჭეებთან მოსულანო. ჩვენ ფიშტოსთან ერთად გავიქეცით, შევყარეთ მთელი როტა და თოფებით დავირაზმენით პაპანაქება სიცხეში. ეზო გაივსო ათასგვარი კონსტრუქციით თოფებით შეიარაღებული ჯარისკაცებით. გამოჩნდა მის უდიდებულესობა პოლკის უფროსი ტაბაიდი და რაც ძალი და ღონე აქვს უყვირის ბათალიონს:

— მადიარებო, ომი გამოცხადებულია!

მერე მოჰყვა და აგინა სერბიელები. მათ სურთ წაგვართვან ჩვენი ათასი წლობით შექმნილი საუნჯენი, ჩვენი ძვირფასი სამშობლო — უნგრეთი და ამ მიზნით კბილებს ილესავენ ჩვენს საზღვრებზეო, — განაცხადა პოლკოვნიკმა.

ჯარისკაცები უძრავად იდგენ, ზოგს უხაროდა ახალი ამბის გამოცხადება, ზოგს კიდევ არა. თუმცა სიმართლე უნდა ითქვას, რომ აქა-იქ გაისმა ხმები: — გაუმარჯოს ომსა და მის უდიდესებულებას ფრანც იოსებს... ჩვენს საყვარელს სამშობლოს, ავსტრო-უნგრეთის მონარქიას და კიდევ ვინ იცის, ვის, ან რას... ეს მოძახილები მომასწავებელი იყო იმისა, რომ ხალხს ძალიან მობეზრებოდა ზეთხულის პაპანაქება ამ უჟმურ ქალაქში... მათ უნდოდათ გაშორებოდენ ფელედხაზეს... მართლაც ეშმაკმა უწყის საით მოუწევს წასვლა ამ ხალხს.

საღამო ჟამს მთელი ბათალიონი ჩაკმული იყო ნაცრისფერ ტანისამოსში. ჯარისკაცებს აცმევდენ სრულიად ახალს, თაგვისფერ ფარაჯებს, დაურიგეს ლამაზი ყვითელი ჩანთები ვაზნების ჩასაწყობათ... ზემდეგებმა კი მიიღეს სრულიად ახალი შაშხანები. ერთის სიტყვით ჩვენ გავახალგაზრდით. მთელს ბათალიონს შვებულება მისცეს. ჩვენ გავსწიეთ იმავე წუთას ქალაქისაკენ და მოვეფინეთ ქუჩებს ახალ ტანისამოსში მოკაზმულნი. ჩვენი ამხანაგებით გაივსო ყველგან რესტორნები და მოედნები. ხალხი, რა თქმა უნდა აქეზებდა და ამხნევებდა ჯარისკაცებს. ამით თითქოს იმისი თქმა უნდოდათ, თუ ვინ არიან მადიარები.. დედაკაცები სლუკუნებდენ, ჩუმად სტიროდენ. ისინი დაძმური თანაგრძნობით და სიყვარულით ეხვეოდენ ხან საკუთარს, ხან კიდევ სხვის ქმრებს და ცრემლებად იღვრებოდენ. ისინიც კი ვისაც ქმრები არ ჰყავდათ გარს ევლებოდენ მიმავალთ... ჯარისკაცები მრთვალნი იყვენ, მაგრამ მაინც ათასგვარ შეპირებას აძლევდენ ხალხს: „ჩვენო, — ამბობდენ ისინი. — სასტიკ პასუხს გავსცემთ იმათ... მე ძმობილო ისე არ დავბრუნდები სანამ მათ ნაკუწ-ნაკუწებათ არ ვაქცევო,—გაიძახოდა ერთი ჯარისკაცი. ზოგი კიდევ ხიშტებს უჩვენებდენ გლეხებს, დანარჩენები კიდევ ტრაბახობდენ. ამ დროს ერთმა ჯიბიდან გრძელი დანა ამოაძრო.

არც ფიშტო ტარიან ჩამორჩენილა სხვებს. ისიც თავგამეტებით იქნევდა თოფს და წარამარა თავის ცულის ხსენებაში იყო. მოხუც გლეხს, რომელიც პირდაღებული შესცქეროდა და უსმენდა მას, შეეკითხა იგი: — „ბაბუა ხომ არ გინდა, რომ პირი მოგპარსო ჩემი ცულით“?

ასე ირთობდა თავს ხალხი ამ უაზრო საღამოს. იღვრებოდა ღვინო და მასთან ერთად იღვრებოდა მთვრალი სიტყვები. ყველანი ხმამაღლა ლაპარაკობდენ, პატრიოტები კი ყველაზე უფრო ყვიროდენ. ცდილობდენ არ ჩამორჩენოდათ სხვებს. უეცრად ამ ცხარე საუბარში ცალთვალა მკერავს — პეტერ ტაგის მოაგონდა მებაღე სერბიელები. მან ერთი ხელის მოსმით მაგიდიდან ძირს გადმოყარა ჭიქები, ჭურჭლეულობა და მაღლა აიშვირა ცეცხლივით გაწითლებული წაგრძელებული ცხვირი, ერთი დასჭყივლა იქ მსხდომთ, რათა ჩამოვარდნილიყო სრული სიჩუმე:

— მადიარებო! თანამემამულენო! ჩვენი მტრები ქალაქის გარეუბანში არიან. ჩვენ კი, აქ ვქეიფობთ და ვმხიარულობთ... ძმებო დასაშვებია, თუ არა ეს? ამ ვერაგსა და დაუნდობელ ხალხსაც ის უნდა, რომ ყველა შეიარაღებულებმა დასტოვონ ჩვენი ქალაქი, მაშინ ისინი ადვილად შემოიჭრებიან აქ და დაეპატრონებიან ჩვენს მამაპაპეულ საუნჯესა და ჩვენს ქალებს. მადიარებს შეუძლიათ ამის მოთმენა? ჩვენ განა დამშვიდებით უნდა შევექცეოდეთ ღვინოს, მაშინ, როცა ჩვენი მოსისხლე მტრები ქალაქის გარე უბნებში მწვანილით ვაჭრობენ? სადღაა მადირების სიმამაცე, მათი გმირული თავგანწირვა? სად არის ჩვენი ნამუსი? თანამემამულენო, განა ეგრე უნდა?..

ბრბო მყისვე აფეთქდა, როგორც თოფის წამალი და ასეულ ყრონტიდან ერთსა და იმავე წუთს აღმოხდა საბედისწერო გადაწყვეტილება:

აგვისტოს პროლეტარები გამოდიან კომინტერნის დროშით იმპერიალისტურ ომთან და იმპერიალიზმთან საბრძოლველად. კოლონიების ჩაგრულო ხალხნო, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით იბრძოლეთ იმპერიალისტების დასამსხვრევად.

— წავიდეთ თანამოძმენო! მოვაწყოთ გასამართლება, დავხოცოთ და ამოვჟლიტოთ მებოსტნე სერბიელები.

მართალია აქვე აღმოჩნდენ რამდენიმე პატიოსანი ადამიანები, რომლებიც თავგამოდებით ამტკიცებდენ, რომ მებოსტნეები ბულგარელები არიან და არა სერბიელებიო, მაგრამ მათ არავინ უსმენდა.

განსაკუთრებით ჟინიანობდენ სამოქალაქო პირნი: — წავიდეთ ძმებო, სერბიელები არ უნდა იქნან დაშვებულნი ჩვენს დოვლათთან. ერთი გაიძვერა იყოლიებს ასობით შეიარაღებულებს... ღვინით გალეშილებმა გადააყირავეს ყველა სკამები და მაგიდები, მილეწ-მოლეწეს დუქანი, დარაბები, ფანჯრები, კარები და ზღვა ხალხი ქუჩაში გამოეფინა... იგრიალა ბრბომ და დიდი და პატარა გაეშურა ქალაქის გარეუბნისაკენ „სერბიელების“ შესამუსრავად.

ეტყობა ვიღაცამ აცნობა ეს ამბავი პოლიციას, იმიტომ რომ. როცა ამხედრებული ბრბო მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს მათ წინ შეეფეთა ოცდა ათიოდე შეიარაღებული ჟანდარმები. მაგრამ იშტან ტარიან, რომელიც წინამძღოლობდა ამხედრებულ ბრბოს წარსდგა ჟანდარმთა ვახმისტრის წინაშე, გაიხსნა ჯარისკაცის ფარაჯა და მთვრალი ხმით ძლივს-ღა ამოიდგა ენა:

— ბ-ნო ვახმისტრო! ღმერთი მოწყალეა! ესროლე ამ მადიარის მკერდს. წინ ნუ აღუდგებით მატილლის ერს, მის ნება-სურვილს. იმ პირუტყვებმა მოჰკლეს ჩვენი ტახტის მემკვიდრე მისი ცოლით, ჩვენ მათ, აქვე, ჩვენი ქალაქის გარეუბანში ვაცხოვრებთ. ბ-ნო ვახმისტრო! სად არის ბოლოს და ბოლოს უბრალო სამართლიანობა? ხალხს უნდა დანიშნოს სამართლიანი გასამართლება, უნგრეთელი ჟანდარმები კი წინ უდგებიან მათ. ბ-ნო მცველთა უფროსო, მესროლეთ! ნუ დაინდობთ ჩემს მკერდს, მხოლოდ ხალხი მიუშვით ნებას: დე, მან პასუხი გასცეს თავის მოსისხლე მტერს!

ხალხმა იღრიალა, ქალებმა ბავშებმა, მოხუცებმა და მთვრალ ჯარისკაცებმა ჟანდარმების წინაშე ისეთი ალიაქოთი ასტეხეს, რომ არა მარტო რამდენიმე ბულგარელ—მებოსტნეები. არამედ რუსის ხელმწიფის ჯარიც კი დაიშლებოდა შიშისაგან. ნათელი გონება და მოსაზრება დაიხარჯა. მჭერმეტყველი სიტყვები ამოიწურა. ჟანდარმები შეძლებისადაგვარად აშოშმინებდენ ხალხს. მაგრამ მათი შეკავება მაინც შეუძლებელი გახდა. ვიდრე ჟანდარმები ტკბილი სიტყვებით ლამობდენ ამხედრებული ხალხის დაშოშმინებას. მღელვარების მთავარი წამომწყებნი მოედენ მშვენიერ ბაღებს. ხალხმა ფეხით გადათელა მწვანილი და რამდენიმე წუთის განმავლობაში ბულგარულ ქოხიდან ცისკენ ავარდა ხანძარი. ქოხი ნაცარ-ტუტად იქცა, ბულგარელთა მთელი ავლა-დიდება, სარჩო-საბადებელი გასთელეს. მაგრამ ბულგარელთა სისხლი, ჯერ კიდევ არ დაღვრილიყო. რომლისთვის მოვიდა აქ ეს ამხედრებული ბრბო.

შეგროვილ ხალხის წრიდან იშტვან ტარიანის მეთაურობით გამოვარდა ერთი ჯგუფი. რომელიც ყველაზე უფრო ცხარობდა და გაემართა ბაღისაკენ სერბიელების მოსანახავად. ფიშტომ ათიოდე ჯარისკაცისა და ოციოდე ჯალათების თანხლებით დაიწყო ფრთხილი ჩხრეკა და სიბნელეში ხიშტებით დაეძებდენ თავიანთ მსხვერპლს. მთვრალ ზემდეგს, რომელსაც ეხლა წარჩინებულ მთავარ სარდლათ წარმოედგინა თავისი თავი სისხლს მოწყურებული ბრბო მიჰყვებოდა ამ ცივსა და გამყინავ სიბნელეში.

ეტყობოდა, გაფანტულ ბულგარელებს აღარ შეეძლოთ ეცქირათ ცეცხლის ალში შთანთქმულ ქოხებისათვის. მათ მოიკრიბეს უკანასკნელი გამბედაობა, რათა სასტიკი წინააღმდეგობა გაეწიათ ამ მთვრალ ბრბოსათვის. სოფლის შარა-გზიდან თითო-თითოდ გამოვიდენ მებოსტნე-ბულგარელები. კბილების ღრჭიალით, გესლით და სიძულვილით ავსილნი პირისპირ წარუდგენ მთვრალებს. ერთი შავგვრემანი ბულგარელი, სიმაღლით ერთი საჟენზე მეტი წინ შეეფეთა ფიშტოს და საშინელი სიძულვილით შეჰყვირა მას:

— რა გინდა შენ?

ფიშტო შესდგა. მას მოეჩვენა, თითქოს სული გაეპარა, იმიტომ, რომ ჯარის-კაცები ცოტანი იყვენ, ბულგარელი კი უზარმაზარი, ახმახი და მრისხანე. ამ დროს ბრბომ ისევ იღრიალა. ყველანი მას შესცქერიან თვალებ'ა და მოელიან მისგან სათანადო ბრძანებას. რათა დაცული იქნეს უნგრელთა ნამუსი. ფიშტომ დაიყვირა:

— მე მწყურია შენი სისხლი სერბიელო ქოფაკო...

მაგრამ ბულგარელმა არ დაუცადა ფიშტოს სიტყვის დამთავრებას და მუშტი ჩაარტყა სახეში. ფიშტო უთუოდ მიწაზე დაეცემოდა, რომ უეცრივ ბულგარელს მეორე ყბაზე არ გაეწნა უფრო მაგარი სილა. ამის შემდეგ ფიშტო შებარბაცდა და მარჯვნივ გადაექანა.

უნგრელები სწრაფად დაიშალენ, მათ ბრძოლის ველზე მარტოდ-მარტო დასტოვეს ასისხლიანებული ფიშტო ტარიან.

ბულგარელები ისევ დაუბუნდენ ნაცარ-ტუტად ქცეულ სადგომებს. მე თანახმად სამსახურში არსებულ მკაცრი ბრძანებისა და ექიმის არ ყოფნის გამო შეუდექი დაჭრილი ამხანაგების მოვლა-პატრონობას.

მე სასწრაფოდ ამოვიღე ჯიბიდან იმავე დღესვე მიღებული ჭრილობის შესახვევი ნივთები, მოვსწმინდე სისხლი ფიშტოს და შეუდექი საქმეს. ხანგრძლივი ხვეწნა მუდარის შემდეგ ის ძლივს-ღა წამოდგა ფეხზე. ცამეტი წელი არც თუ ისე მცირე დროა და ამ ხნის განმავლობაში რასაკვირველია მე ბევრი რამ წვრილმანი დამავიწყდა... ტყუილის თქმა კი მე ძალიან მეძნელება.

კარგად დამამახსოვრდა ის ამბავი, რომ ფიშტომ იქ დასტოვა რემდენიმე კბილი.

ამის შემდეგ ჩვენ ნელა გავყევით ქალაქისაკენ. მაგრამ რას ვხედავთ? ო. ღმერთო ჩემო! ეკლესიის წინ თავი მოუყრია ზღვა ხალხს. მისი უწმინდესობა კი იდგა ბურახის კასრზე და უხსნიდა თავის მრევლს ბულგარელები სერბიელები კი არა ჩვენი მოკავშირეები არიანო. მან ბევრი ლამაზი სიტყვები წამოსთქვა იმის შესახებ. რომ ბულგარელი ერი სკვითების შთამომავალნი არიან. რომ ისინი უკვერ რამდენიმე საუკუნეა. რაც მადიარელ ერის მეზობლად ცხოვრობენ. ამავე დროს მან დასძინა, რომ ამ მშვიდობის მოყვარული ერის წინაპრები ჩვენ მამა-მთავრის არ-

ჰადისთან ერთად ათასი წლის წინად გადმოსულა შორეულ აზიიდან.

ცხადია, როგორც მოსალოდნელი იყო ასტყდა საშინელი განგაში. ჯარისკაცები ყვიროდენ — „სწორდით"-ს, ხოლო ხალხი კი — „ვაშა"-ს ბულგარელ მებოსტნეების საპატივცემლოდ, რომლებიც აღმოჩნდენ უნგრეთელი ერის მიმართ კეთილგანწყობილებაში. პეტერ ტაგი უცნაურად აპაჭუნებდა თვალებს, და როცა მოქადაგე კასრიდან ძირს ჩამოსვეს თვითონ ავიდა ზედ, ის ძლივს იკავებდა სიმთვრალისაგან დამძიმებულ თავს... ბოლოს, როგორც იყო ხრინწიანი ხმით დაიწყო:

— მოქალაქენო! მადიარებო! თანამემამულენო! სულგრძელმა ვენგრიელებმა. უმნიშვნელო შეცდომის გამო შეურაცხყო (მახსოვს კარგად მან სწორედ ასე სთქვა — შეურაჰყოვო"). სულგრძელი და თავაზიანი ბულგარელები, მაგრამ ჩვენს ხალხს სურს ზღოს ეს დანაშაული: წავიდეთ ძმებო, გამოვითხოვოთ პატიება ჩვენი შეცდომების მოსანანიებლად. მართალია ვენგრიელ ერთი მეტად პატივმოყვარე და ამაყია, მაგრამ ის შაინც ძმად არის აღიარეს თავისი შეცდომა თუნდაც უბრალო, უბირი მებოსტნე ბულგარელების წინაშე. წავიდეთ მამულიშვილნო!

ხალხი დაიძრა და ეროვნული ჰიმნის ქუხილივით ისევ გარეუბნისაკენ გაემართა — ბულგარელ მებოსტნეებთან. მაგრამ ჩვენმა მოკავშირეებმა დაინახეს თუ არა მოახლოვებული ბრბო, უეცრად უკან დაიხიეს. მართალია ფაცხა უკვე დამწვარიყო მაგრამ. ეხლა შესაძლო იყო თვით მათთვის წაეკიდებიათ ცეცხლი. ამიტომ როცა უკვე ისედაც გათელილს, ბოლგარელთა სარჩო-საბადებელ ხელმეორედ ფეხით სჯეკნიდა მოზეიმე ბრბო ახლო-მახლო არავინ აღმოჩნდა. მოსულები დაკმაყოფილდენ მარტო იმით, რომ ისინი მძლავრად აგუგუნებდენ ჰიმნს, საიდანაც მკაფიოდ მოისმოდა ორიოდე სიტყვა — „ძლიერო სამშობლო". ამის შემდეგ ისევ დასჭექეს „ვაშა" მოკავშირე ბულგარელებს და მოზეიმე ხალხი დაიშალა.

როცა ხალხი ეკლესიიდან ქალაქის გარეუბნისაკენ დაიძრა მე ვკითხე ფიშტოს:

— ხომ არ არის საჭირო, რომ თან მივყვეთ ამ მოზეიმე ბრბოს?

ფიშტომ ბრაზით თავი ჩაიქნია და ხელები მოისვა დასივებულ სახეზე.

— არა ძმობილო, ამის შემდეგ მე არსად არ წავალ ომში. ეშმაკებმა იომონ!.. ომი უკვე დასრულდა და მშვიბიანობა გამოვაცხადე უკვე.

— რას როტავ, ეე? რა მშვიდობიანობაზე ლაპარაკობ, რომელი ზავი ჩამოაგდე შენ? ომი ჯერ არ დაწყებულა შენ კი იძახი მშვიდობიინობა გამოვაცხადეო.

— მართალია... მართალია... შევრიგდით.. ღვთის წინაშე ჩემს მეტი არავინ დაისჯება... ერთხელ სერბიელების, ხოლო მეორედ კი ბულგარელების მაგივრად... ჩემგან უკვე საკმარისია ძმობილო.

(გაგრძელება იქნება)

შვებულებაში მიმავალთა ამოცანები

საზაფხულო პერიოდი მშვენიერი შესაძლებლობას ჰქმნის. რათა ქალაქმა აქტიური დახმარება აღმოუჩინოს სოფელს. ჩვენში ეხლა უკვე დადგა შვებულებაში წასვლის პერიოდი. შვებულებაში უმთავრესად მიდიან მუშამოსამსახურეები. მოწაფეები, უმაღლეს სასწავლებლის კურსანტები და სხვები, რომლებიც მოედებიან საბჭოთა საქართველოს ყველა სოფლებს. მათ შორის ძალიან ბევბევრი არის არა მარტო რემედასის უბრალო წევრი. არამედ რემედასის აქტივისტები. საუკეთესო ორგანიზატორები. აგიტატორები. პროპაგანდისტები. რომლებსაც შეუძლიანთ და ვალდებულნი არიან კიდეც ხელი შეუწყონ რემედასის სოფლის ორგანიზაციებს. მათ შეუძლიანთ რემედასის ორგანიზაციებში წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილების მიხედვით ახსნა-განმარტება მისცენ სოფლად მომუშავე ამხაანაგებს.

შკებულებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ იმს. თუ როგორ უნდა იქნენ სოფლის უჯრედები უზრუნველყოფილნი რემედასის ლიტერატურით. შვებულები ვალდებულნი არიან ამავე დროს ყოველ მხრივად ხელი შეუწყონ რემედასის პერიოდულ ორგანოს ჟურნალ „რემედასის" ხელის მომწერთა გადიდებას. ამით რემედასის სააგიტაციო მუშაობა სოფლად მოლონიერდება. შვებულთა ქალაქებში წასვლის შემდეგ ადგილობრივ აქტივისტებს დარჩებათ სათანადო გამოცდილება, რითაც ისინი შესძლებენ შესაფერი ხელმძღვანელობა გაუწიონ ორგანიზაციის ნაყოფიერ მუშაობას.

შვებულებმა ამავე დროს გლეხთა მასაში რემედასის იდეის პოპულიარიზაციის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ საშეფო მუშაობის განმარტებას. უნდა უჩვენონ და წაუკითხონ გლეხებს პოლიტპატიმრებისგან მიღებული წერილები და აუხსნან თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მიერ გაწეულ დახმარებას პოლიტ-პატიმრებისათვის. როგორც მატერიალურად. ისე მორალურად. კიდევ უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლება ამ მხრივ ბევრ ქალაქელ რემედასელს წაუკითხავს არა მარტო საშეფო ციხეებიდან მიღებული პოლიტ-პატიმართა წერილები, არამედ მათ უნახავთ პირადათ ამ ციხეებიდან გამოქცეული ამხანაგებიც. რომლებმაც თავი დააღწიეს საპატიმროთა საშინელ მდგომარეობას და ს. ს. რ. კ. შემოაფარეს თავი. შვებულმა უნდა ყველაფერი უამბოს თავის მეზობელ გლეხებს რაც კი გაუგონია და წაუკითხავს პოლიტ-ემიგრანტების შესახებ: ის ამით არ უნდა დაკმაყოფილდეს მარტო, მან ახსნა განმარტება უნდა მისცეს მშრომელებს იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევენ რემედასის სოფლის ორგანიზაციები პოლიც-პატიმრებს როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. გლეხები უნდა გაეც-

ნონ იმ მაგალითებს, თუ როგორ აძლევდენ ამა თუ იმ რაიონს გლეხები თავიანთ ყანიდან მოთიბულ პირველ ძნას უცხოეთის პოლიტპატიმართა მატერიალურ ფონდის გასაძლიერებლად.

კოლმეურნეობანი,, კომუნები და სხვა მიჩნეულ უნდა იქნენ, ახლო-მახლო მცხოვრებ ღარიბ და მოჯამაგირე გლეხთა მასების ინტერნაციონალურად აღზრდის სკოლებათ. ამიტომ, თუ შვებული უშუალოდ არ დაუკავშირდება კოლმეურნეობებს, ის ვალდებულია გაეცნოს იმ ორგანიზაცია-უჯრედების მუშაობას, რომლებიც არსებობენ კოლმეურნეობათა ახლოს; ისინი ვალდებულნი არიან გამოარკვიონ თუ რა მდგომარეობაში არიან ესა თუ ის უჯრედები და სხვ.

წელს შვებულების პერიოდმა შესამჩნევად უნდა გამოაცოცხლოს რემედასის მუშაობა სოფლად.

ეჭვს გარეშეა ჩვენი რემედასელები პირნათლად შეასრულებენ ამ მოვალეობას და ისინი შესამჩნევ როლს ითამაშებენ სოფლის უჯრედებზე ქალაქის უჯრედთა ხელმძღვანელობის გაწევის დარგში.

ი. აბ-ლი.

შეჯიბრი რემედასის ორგანიზაციებში

ფოთი — იწვევს შორაპნის, გორის და რაჭა-ლეჩხუმის რემედასის სამაზრკომებს!

ამჟამად ყველა ორგანიზაციებისათვის საინტერესოა პარტიის და ხელის უფლების მიერ წამოენებული ამოცანები სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, რომელიც მოითხოვს ჩვენგან უდიდეს ყურადღებას.

რემედასის ორგანიზაციაც გვერდს ვერ აუხვევს ამ სოციალისტურ აღმშენებლობის მთავარ საკითხს და აქტიურ მონაწილეობა უნდა მიიღოს მის ცხოვრებაში სრული 100% გატარებაში. ეს შეჯიბრება უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ორგანიზაციების უფრო გასაჯანსაღებლათ.

ამ მიზნით რემედასის ფოთის სამაზრო კომიტეტი შეჯიბრებაში იწვევს შორაპნის, გორისა და რაჭა-ლეჩხუმის რემედასის სამაზრკომებს შემდეგი პირობათა შესასრულებლად:

1. ჟურნალ „რემედასის“ და „პუტმოპრა“-ს ხელის მომწერთა 1000-ით გადიდება. 2. რემედასის რიგებში 1000 ახალი წევრის ჩაბმა. 3. საწევრო ანარიცხების დავალიანებათა სრული ლიკვიდაცია. 4. ხარჯთ-აღრიცხვის მეორე კვარტალის შესრულება. 5. კულტ-მუშაობის გაღრმავება. 6. პოლიტ-ემიგრანტებისათვის საკურორტო ფონდის შექმნა. 8. საზოგადოება „ავტოდორი“-ს დაარსება.

შეჯიბრების შედეგები გამოქვეყნებულ უნდა იქნეს ჟურნალ „რემედასში“.

რემედასის ფოთის სამაზრკომი.

პროფკავშირთა ცენტრალურ გამგეობას და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს

ახლო წარსულში ჩატარებულმა რემედასის ტფილისის სამაზრო-საქალაქო მე-5-ე კონფერენციამ აღნიშნა რემედასის მუშაობისადმი უყურადღებობა ზოგიერთ ძირითად პროფორგანიზაციებსა (საფ. საქ. კომ.) და ამავე დროს ზოგიერთ პროფკავშირების მიერ რემედასის მნიშვნელობის შეუფასებლობა.

კაპიტალის პატიმართა დახმარების ფონდის გაძლიერებისა, პროფორგანიზაციების და რემედასის მუშაობის შეთანხმებისა და ზოგიერთ პროფ-მუშაკების რემედასის მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობის აღმოსაფხვრელად საქ. პროფესიონალურ კავშირების საბჭო გავალებთ:

1. გააძლიეროთ ხელის შეწყობა და დახმარება რემედასის ორგანიზაციებისადმი ადგილებზე რემედასის იდეებისა და მიზნების პოპულიარიზაციის საქმეში პროფკავშირების წევრთა შორის მათი რემედასის რიგებში ჩასაბმელად.

2. ყოველმხრივად ხელი შეეწყოს რემედასის ორგანიზაციას რემედასის ერთიანი დღეების ჩატარება-მოწესრიგებაში. ამ მიზნით მათ მიეცეთ შესაფერისი ადგილი და ასეთების ჩატარებაში ყოველმხრივად შეეწყოს ხელი.

3. წარმოება-დაწესებულებებში გაბმული იქნეს მჭიდრო კავშირი რემედასის უჯრედსა და ადგილობრივი კულტკომისიებს შორის.

4. რემედასის ორგანიზაციებს ხელი შეეწყოს წითელ კუთხეებსა და კლუბებში მასიურ ღონისძიებათა (საუბრები, საღამოები, კითხვა-პასუხის გამართვა, მოხსენებების, ლექციების ჩატარება და სხვა.) ჩატარების საქმეში, რომელიც დაკავშირებულია მშრომელთა ფართო მასებში რემედასის იდეის პოპულიარიზაციასთან.

5. საკლუბო მუშაობის პროგრამაში შეტანილი იქნეს რემედასის მუშაობასთან დაკავშირებული მომენტები (მოხსენებები თეთრი ტეროორის, რემედასის საზღვარგარეთელ სექციების მუშაობას და პოლიტ-პატიმართა შეფობის შესახებ).

6. ყოველმხრივად ხელი შეეწყოს რემედასს — საღამო-კონცერტების, სპექტაკლების, კინო-სეანსების და სპეციალურ ღონისძიებათა ჩატარებაში.

7. იმ კუთხეებში სადაც ასეთები ჯერ კიდევ არ ჩამოუყალიბებიათ აუკილებლად მოწყობილ იქნეს რემედასის კუთხეები ანალოგიური კუთხეები ან პავილიონ-კოსკი მოეწყოს საზაფხულო კლუბებსა და ბაღებში; ამ კუთხეებსა და პავილიონ-კიოსკებში მუშაობის წარმოება უნდა დაევალოს რემედასის რაიკომებს.

8. სამკითხველოები და მოძრავი ბიბლიოთეკები შეესებულ იქნეს რემედასის მუშაობასთან დაკავშირებულ ლიტერატურით (რემედასის ამოცანებსა და მოღვაწეობის, თეთრი ტეროორის, რემედასის საზღვარგარეთელ მოძმე ორგანიზაციების შესახებ და სხვ.) აგრეთვე რემედასის პერიოდულ გამოცემბით, როგორც ქართულ ისე რუსულ ენებზე.

9. განათლებისა და სატყეო მუშაკთა კავშირის გამგეობამ ყოველ მხრივად ხელი უნდა შეუწყონ რემედასის უჯრედების ჩამოყალიბებას სოფლად, ამავე დროს მიღებულ იქნას ზომები, რათა რაც შეიძლება კავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა იქნან ჩაბმულნი რემედასის ორგანიზაციის რიგებში.

საქ. პროფკავშრთა საბჭოს მდივნის მაგიერ: **ანთიძე**

კულტ-განყოფილების გამგის მაგიერ: **ფანცულაია**

დავეხმაროთ კაპიტალის პატიმრებს

ამხ. ბ. სურმავას გამოწვევით სადგურ ქუთაისის რკინის გზის რემედასის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. სიმონ გურემიძეს. 2. პანტელეიმონ მაჭავარიანს. 3. ისიდორე ქავთარაძეს. 4. ბაგრატ უგულავას. 5. ილარიონ აფხაიძეს, 6 ნიკო გიორგაძეს და 7. პარმენ ბასილაძეს!.

მათე ლილუაშვილი.

ამხ. ბ. სურმავას გამოწვევით სადგურ ქუთაისის რკ. გზის რემედასის სალაროში შემომაქვს ერთი მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. დიმიტრი ქავთარიას, 2. პარმენ დოდუაშვილს. 3. რაჟდენ გიგაშვილს, 4. ირაკლი ცირეკიძეს, 5. ონისიმე ბობოხიძეს, 6. ქიბარ გოგოხიას და 7. არჩილ ცირეკიძეს.

რემანოზ ჯიქია.

ამხ. ჭარხალაშვილის გამოწვევით კაპიტალის პატიმართა სასარგებლოთ სადგურ ქუთაისის რემედასის რკ. გზის სალაროში შემომაქვს ჩემი მცირედი წვლილი — 1 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს:

1. მიხა რიჟამაძეს, 2. ვანო წერეთელს, 3. ალექსანდრე კანდელაკს, 4. სერგო ხუჭაძეს, 5. სერგო გეწაძეს, 6. დათიკო ხუჭაძეს, 7. ვანო უგლავას, 8. ანტონ ბრეგაძეს, 9. სამსონ ქებულაძეს, 10. გაბრიელ ფხაკაძეს, 11. ონისიმე ბოჭორიშვილს, 12. პეტრე ერაძეს, 13. ისიდორე ქავთარაძეს, 14. ნიკოლოზ ზაქარიშვილს, 15. გრიგოლ ვასაძეს და 16. თეიმურაზ პარკაძეს.

პლატონ გვენტაძე

რემედასის ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 5 მანეთი და ამავე მიზნით ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. მათე ჯიქიას, 2. რაჟდენ გახარიას, 3. კლიმენტი ბებურიას, 4. დარიკო თოლორიას, 5. აქვსენტი თოდუას, 6. გიორგი ბერულავას, 7. აკაკი თირქიას, 8. ოდიშარიას, 9. ალექსანდრე ფაცურიას, 10. იაკო ქირიას, 11. კალისტრატე ფარცხანიას, 12. ავთანდილ ჯიქიას, 13. ბიქტორ შონიას, და 14. თამარა საჯაიას.

დათიკო ხურცელავა.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში მომითავსოთ შემდეგი ჩემი განცხადება. ჟურნალ „რემედასის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა ვიღაც „ქედელის ხელმოწერით წერილი სათაურით „როგორ მუშაობენ ზუგდიდის მაზრაში“, წერილის ავტორი ეხება ჩემს მოხსენებას რემედასის ზუგდიდის მეორე სამაზრო კონფერენციაზე და აღნიშნავს, თითქოს მე საჯაროთ განმეცხადებიოს, რომ რემედასის საქ. ცაკს ჯერ არ ჰქონდეს გამომუშაავებული და გამოცემული ჩვენი ორგანიზაციის წესდება.

ამავე წერილს კომენტარიებს უკეთებს ჟურნალ „რემედასის“ რედაქცია და იქვე შენიშვნაში აღნიშნავს თითქოს მე არ ვიცოდე. რემედასის ორგანიზაციის მუშაობა, არ ვერკვეოდე მის მიზნებსა და ამოცანებში, და ჩემი უვიცობით შეცდომაში შემყავდეს ძირითადი ორგანიზაციებიც.

ვაცხადებთ კატეგორიულად, რომ არაფერი ამისი მსგავსი მე კონფერენციაზე არ მითქვამს, რაც დაადასტურა რემედასის ზუგდიდის მეოთხე კონფერენციამ და ამის შესახებ სათანადო მიმართვაც კი გადაუგზავნა რემედასის საქართველოს ცეკას.

წერილის ავტორი „ქედილი“, (როგორც შემდეგში გამოირკვა იაკიმე კვარაცხელია) ალბათ ვერ ერკვევა სხვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში და ისე დაუფიქრებლად სწერს ისეთ ბრძნულ წერილებს და აწვდის რედაქციას, როგორიც არის ჩემ მიერ ზემოთ დასახელებული წერილი.

ჩემის აზრით, კარგი იქნება ვიდრე ჟურნალ „რემედასის“ რედაქცია ვისიმე საქციელის შესახებ მსჯავრს გამოიტანდეს გამოარკვიოს ის, თუ რამდენად მართლაც დამნაშავეა ესა, თუ ის მუშაკი ვიღაც შემთხვევით მოვლენილ კორესპოდენტების უვიცობის გამო.

დათიკო ხურცილავა.

რემედასის ს. ც. კ. გამომცემლობა. პ/მგ. რედაქტორი: **შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ., № 91. მთავარლიტ № 1104. შეკვეთა № 1624. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტის გამომცემლობა

ტფილისი, კომინტერნის ქ. № 5. II-ე სართ. ელსმ. № 17—42

მიიღება ხელის მოწერა

ჟურნალ „რემედასა“-ზე

ჟურნალ „რემედას“

გამოვა

ხელის მოწ. პირობები:

1 თვით	20 კ.
3 თვით	60 „
6 თვით	1 მ. 15 „
9 თვით	1 „ 70 „
1 წლით	2 „ 20 „

12 ნომერი